

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება და დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს ენ ჯი თი ჯგუფი

2021 წლის 31 დეკემბერი

(დოკუმენტი წარმოადგენს ინგლისური ორიგინალის თარგმანს)



სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	3
კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	6
კონსოლიდირებული მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	7
კონსოლიდირებული კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	8
კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგება	9
კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგება (გაგრძელება)	10
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	11

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

(დოკუმენტი წარმოადგენს ინგლისური ორიგინალის თარგმანს)

შპს ენ ჯი თი ჯგუფის აქციონერებს

მოსაზრება

ჩავატარეთ შპს “ენ ჯი თი ჯგუფის” (“კომპანია”) და მისი შვილობილი კომპანიების (ერთად „ჯგუფი“) კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის კონსოლიდირებული სრული შემოსავლის ანგარიშგების, კონსოლიდირებული საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან, ასევე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, უტყუარად და სამართლიანად ასახავს ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ მდგომარეობას 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის კონსოლიდირებულ ფინანსურ შედეგებსა და კონსოლიდირებული ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასსების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე - ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებელი ვართ ჯგუფისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა და იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოში; გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით და ბესსს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა გარემოებები

ჯგუფის წინა წლის ფინანსური ანგარიშგება აუდიტირებულია სხვა აუდიტორის მიერ, რომელმაც 2021 წლის 13 ოქტომბერს გასცა პირობითი მოსაზრება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფის მარაგების ნაშთის შესახებ საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვების შეუძლებლობის გამო.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ჯგუფის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია მმართველობის ანგარიშგების წარდგენაზე. მმართველობის ანგარიშგება, რომელიც მომზადებულია ქართულად მენეჯმენტის მიერ და ხელმისაწვდომია მხოლოდ ქართულ ენაზე, მოიცავს ინფორმაციას ჯგუფის საქმიანობის, რისკის ანალიზის, სამომავლო გეგმების და სხვა “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და უდიტის შესახებ” საქართველოს კანონის შესაბამისად მოთხოვნილი საკითხების შესახებ.

აუდიტთან დაკავშირებით, ჩვენი პასუხისმგებლობა ზემოთ ხსენებული მმართველობის ანგარიშგების წაკითხვაა მას შემდეგ, რაც იგი ჩვენთვის გახდება ხელმისაწვდომი და ამის შემდგომ გამოვხატავთ აზრს არის თუ არა სხვა ინფორმაცია მატერიალურად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან, ან აუდიტის დროს მიღებული ინფორმაციასთან, ან თუ აღგილი ექნება მატერიალურ უზუსტობებს, წარმოვადგინოთ შესაბამისი ანგარიში.

დამატებით, ჩვენი ვალდებულებაა გამოვთქვათ მოსაზრება მომზადებულია თუ არა მმართველობის ანგარიშგება “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და უდიტის შესახებ” საქართველოს კანონის შესაბამისად და მოიცავს თუ არა ის ყველა მოთხოვნილ ინფორმაციას.

თუ ჩატარებული პროცედურების საფუძველზე დავასკვნით, რომ მმართველობის ანგარიშგება მოიცავს არსებით უზუსტობებს, ჩვენ ვალდებული ვართ განვაცხადოთ ამ ფაქტზე და უზუსტობის არსზე. აღნიშნულთან დაკავშირებით ჩვენ არ ვაცხადებთ არაფერს.

ჩატარებული აუდიტორული პროცედურების საფუძველზე, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, ჩვენი მოსაზრებაა:

- ინფორმაცია, რომელიც მოცემულია მმართველობის ანგარიშგებაში, იმ წლისთვის, რომლისთვისაც მომზადებულია ფინანსური ანგარიშგება, შესაბამისია კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან და
- მმართველობის ანგარიშგება მომზადებულია “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის შესაბამისად და მოიცავს კანონით მოთხოვნილ ყველა ინფორმაციას.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, აგრეთვე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებითი უზუსტობას.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება შეაფასოს ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს ჯგუფის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშის აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის

შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება მეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.

- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერისი შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგვემოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ ჯგუფის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული საადრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული საადრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნაგანმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვვალდება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება ჯგუფი უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.
- მოვიპოვებთ საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებებს ჯგუფში შემავალი საწარმოებისა და სხვა ერთეულების ფინანსური ინფორმაციის შესახებ, რათა მოსაზრება გამოვთქვათ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესახებ. ჩვენ ვართ პასუხისმგებლები ჯგუფის აუდიტის მსვლელობის ხელმძღვანელობაზე, ზედამხედველობასა და აუდიტის ჩატარებაზე. მხოლოდ ჩვენ ვართ პასუხისმგებელი ჩვენს აუდიტორულ მოსაზრებაზე.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, ვაწვდით ინფორმაციას აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

შპს გრანტ თორნტონის სახელით


ვახტანგ ცაბაძე

მმართველი პარტნიორი

რეგისტრირებული აუდიტორი (რეგისტრაციის # SARAS-A-774309)

თბილისი, საქართველო

2022 წლის 16 დეკემბერი



კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ქართული ლარი		2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი
	შენიშვნა		
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	4	18,101,748	3,151,397
არამატერიალური აქტივები		441,767	75,373
მოთხოვნები საწესდებო კაპიტალის შევსებაზე		3,220,000	-
სხვა გრძელვადიანი მოთხოვნები		654,146	5,000
		<u>22,417,661</u>	<u>3,231,770</u>
მოკლევადიანი აქტივები			
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	5	13,621,832	1,112,083
ავანსები და წინასწარი გადახდები		3,965,736	42,975
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	6	918,203	4,469,535
გაღებული სესხები		34,085	296,160
ნაღდი ფული და ფული ბანკში	7	3,791,682	778,412
		<u>22,331,538</u>	<u>6,699,165</u>
სულ აქტივები		<u>44,749,199</u>	<u>9,930,935</u>
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი და რეზერვები			
საწესდებო კაპიტალი	10	12,451,000	1,000
აკუმულირებული ზარალი		5,808,087	5,579,389
არამაკონტროლებელი წილი		1,512,637	1,119,390
		<u>19,771,724</u>	<u>6,699,779</u>
გრძელვადიანი ვალდებულებები			
სესხები	8	15,949,033	935,880
სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები		-	-
		<u>15,949,033</u>	<u>935,880</u>
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	9	2,909,819	2,052,235
გადასახდელი დივდენდები		-	-
სესხები	8	6,118,623	222,513
გადასახდელი მოგების გადასახადი		-	20,528
		<u>9,028,442</u>	<u>2,295,276</u>
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		<u>44,749,199</u>	<u>9,930,935</u>

დავით ხოსიაშვილი

აღმასრულებელი დირექტორი

16 დეკემბერი 2022 წელი

თანდართული შენიშვნები 11-35 გვერდებზე წარმოადგენს წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ქართული ლარი	შენიშვნა	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი
აქტივები			
<i>გრძელვადიანი აქტივები</i>			
ძირითადი საშუალებები	4	18,101,748	3,151,397
არამატერიალური აქტივები		441,767	75,373
მოთხოვნები საწესდებო კაპიტალის შევსებაზე		3,220,000	-
სხვა გრძელვადიანი მოთხოვნები		654,146	5,000
		<u>22,417,661</u>	<u>3,231,770</u>
<i>მოკლევადიანი აქტივები</i>			
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	5	13,621,832	1,112,083
ავანსები და წინასწარი გადახდები		3,965,736	42,975
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	6	918,203	4,469,535
გაცემული სესხები		34,085	296,160
ნაღდი ფული და ფული ბანკში	7	3,791,682	778,412
		<u>22,331,538</u>	<u>6,699,165</u>
სულ აქტივები		<u>44,749,199</u>	<u>9,930,935</u>
<i>კაპიტალი და ვალდებულებები</i>			
<i>კაპიტალი და რეზერვები</i>			
საწესდებო კაპიტალი	10	12,451,000	1,000
აკუმულირებული ზარალი		5,808,087	5,579,389
არამაკონტროლებელი წილი		1,512,637	1,119,390
		<u>19,771,724</u>	<u>6,699,779</u>
<i>გრძელვადიანი ვალდებულებები</i>			
სესხები	8	15,949,033	935,880
სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები		-	-
		<u>15,949,033</u>	<u>935,880</u>
<i>მოკლევადიანი ვალდებულებები</i>			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	9	2,909,819	2,052,235
გადასახდელი დივდენდები		-	-
სესხები	8	6,118,623	222,513
გადასახდელი მოგების გადასახადი		-	20,528
		<u>9,028,442</u>	<u>2,295,276</u>
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		<u>44,749,199</u>	<u>9,930,935</u>

დავით ხოსიაშვილი

აღმასრულებელი დირექტორი

16 დეკემბერი 2022 წელი

თანდართული შენიშვნები 11-35 გვერდებზე წარმოადგენს წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

კონსოლიდირებული მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

ქართული ლარი	შენიშვნა	2021 წელი	2020 წელი
შემოსავალი	11	54,721,019	6,717,750
რეალიზებული საქონლისა და მომსახურების თვითღირებულება	12	(39,485,150)	(4,332,266)
საერთო მოგება		15,235,869	2,385,484
სხვა შემოსავალი		150,821	-
დისტრიბუციისა და მარკეტინგის ხარჯები		(472,757)	(41,754)
ადმინისტრაციული ხარჯები	13	(7,813,617)	(1,446,273)
სხვა ხარჯები		289,620	-
მოგება ფინანსურ მუხლებამდე და მოგების გადასახადით დაბეგრამდე		7,389,936	897,457
ფინანსური შემოსავალი	14	78,876	38,952
ფინანსური ხარჯები	14	(1,964,198)	(17,405)
წმინდა შედეგი შვილობილი კომპანიის აქციების გაყიდვიდან		139,200	927,916
მოგება/(ზარალი) საკურსო სხვაობიდან		393,583	(48,387)
ზარალი შეწყვეტილი ოპერაციებიდან		-	(291,261)
სხვა არასაოპერაციო ხარჯები/(შემოსავლები)		-	(396)
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადით დაბეგრამდე		6,037,397	1,506,876
მოგების გადასახადის (ხარჯი)/დაბრუნება წლის მოგება/(ზარალი)		(176,597)	-
		5,860,800	1,506,876
მთლიანი სრული შემოსავალი საანგარიშგებო წლისთვის		5,860,800	1,506,876
წლის სრული შემოსავალი რომელიც ეკუთვნის:			
კომპანიის მფლობელებს		5,467,553	1,508,085
არამაკონტროლებელი წილის მფლობელებს		393,247	(1,209)

კონსოლიდირებული მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგება წაკითხულ უნდა იყოს 11-35 გვერდებზე წარმოდგენილ ახსნა-განმარტებით შენიშვნებთან ერთად.

კონსოლიდირებული კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

ქართული ლარი	შენიშვნა	საწესდებო კაპიტალი	აკუმულირებული მოგება / (ზარალი)	მაკონტრო ლებელი წილი	არამაკონ ტროლე ბელი წილი	სულ
2020 წლის 1 იანვარი		1,000	5,227,687	5,228,687	1,120,599	6,349,286
წლის მოგება/ზარალი		-	1,508,085	1,508,085	(1,209)	1,506,876
მთლიანი სრული შემოსავალი წლის განმავლობაში		-	1,508,085	1,508,085	(1,209)	1,506,876
დივიდენდები		-	(1,156,383)	(1,156,383)	-	(1,156,383)
მფლობელებთან განხორციელებული ოპერაციები		-	(1,156,383)	(1,156,383)	-	(1,156,383)
2020 წლის 31 დეკემბერი		1,000	5,579,389	5,580,389	1,119,390	6,699,779
წლის მოგება		-	5,467,553	5,467,553	393,247	5,860,800
შვილობილი კომპანიის შეძენის ეფექტი		-	(2,041,199)	(2,041,199)	-	(2,041,199)
წლის მთლიანი სრული შემოსავალი		-	3,426,354	3,426,354	393,247	3,819,601
შენატანები კაპიტალში	10	12,450,000	-	12,450,000	-	12,450,000
დივიდენდები		-	(3,197,656)	(3,197,656)	-	(3,197,656)
მფლობელებთან განხორციელებული ოპერაციები		12,450,000	(3,197,656)	9,252,344	-	9,252,344
2021 წლის 31 დეკემბერი		12,451,000	5,808,087	18,259,087	1,512,637	19,771,724

კონსოლიდირებული კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება წაკითხულ უნდა იყოს 11-35 გვერდებზე წარმოდგენილ ახსნა-განმარტებით შენიშვნებთან ერთად.

კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგება

ქართული ლარი	მენიშვნა	2021 წელი	2020 წელი
<i>ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან</i>			
წლის მოგება/(ზარალი)		5,860,800	1,506,876
ცვეთა და ამორტიზაცია		1,219,159	163,271
(მოგება)/ზარალი ძირითადი საშუალებების და აღჭურვილობის გასვლიდან		5,285	(21)
საგარანტიო მომსახურების ხარჯი/(გაუქმება)		-	89,631
საინვესტიციო შემოსავალი		-	-
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების გაუფასურების ხარჯი/(გაუქმება)		(19,510)	78,026
გრძელვადიანი აქტივების გაუფასურების ხარჯი		-	50,640
სასაქონლო და მატერიალური მარაგების გაუფასურების ხარჯი		-	24,429
ფინანსური ხარჯი	13	1,964,198	(38,952)
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
ფინანსური შემოსავალი	13	(78,876)	17,405
შვილობილი კომპანიის შეძენის ეფექტი		-	(927,916)
სავალუტო ოპერაციებიდან მიღებული (მოგება)/ზარალი		(393,583)	48,387
<i>საოპერაციო მოგება/(ზარალი) საბრუნავი კაპიტალის ცვლილებამდე</i>		<i>8,557,473</i>	<i>1,011,776</i>
<i>სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ცვლილება</i>			
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ცვლილება		4,654,331	(2,104,604)
სასაქონლო და მატერიალური მარაგების ცვლილება		(5,242,101)	1,427,937
მიღებული ავანსების ცვლილება		(1,661,578)	-
სხვა აქტივების ცვლილება		(1,155,000)	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებების ცვლილება		(1,248,104)	(8,086)
სხვა ვალდებულებების ცვლილება		(649,146)	-
<i>ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან</i>		<i>3,255,875</i>	<i>327,023</i>
<i>გადახდილი პროცენტი</i>			
გადახდილი პროცენტი		(1,902,644)	24,423
მიღებული პროცენტი		83,025	(17,405)
გადახდილი მოგების გადასახადი		-	-
<i>წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან</i>		<i>1,436,256</i>	<i>334,041</i>

გრძელდება შემდეგ გვერდზე

კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგება წაკითხულ უნდა იყოს 11-35 გვერდებზე წარმოდგენილ ახსნა-განმარტებით შენიშვნებთან ერთად.

კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგება (გაგრძელება)

ქართული ლარი	მენიშვნა	2021 წელი	2020 წელი
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
გაცემული სესხების დაბრუნება მსესხებლებისგან		296,716	-
ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების შეძენა		(2,975,961)	(3,350,346)
ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი		(338,479)	1,909
შვილობილი კომპანიის წილის შეძენა		-	2,377,424
მიღებული საპროცენტო შემოსავალი		-	(217,539)
გადახდილი დივიდენდი		-	-
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		(3,017,724)	(1,188,552)
ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან			
სააქციო კაპიტალის გამოშვებიდან მიღებული შემოსავალი		-	-
გადახდილი დივიდენდები		(3,197,660)	(1,156,383)
სესხის აღება		15,812,782	2,092,753
სესხის დაფარვა		(11,490,411)	(53,948)
წმინდა ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან		1,124,711	882,422
წმინდა ფულადი სახსრების გაზრდა/(შემცირება)		(456,757)	27,911
სავალუტო კურსის ცვლილების ზეგავლენა ფულზე და ფულად ეკვივალენტებზე		(115,198)	(2,380)
ფულადი სახსრები წლის დასაწყისისთვის		778,412	834,242
შვილობილი კომპანიის შესყიდვის ეფექტი		3,585,225	(81,361)
ფულადი სახსრები წლის ბოლოს		3,791,682	778,412

კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგება წაკითხულ უნდა იყოს 11-35 გვერდებზე წარმოდგენილ ახსნა-განმარტებით მენიშვნებთან ერთად.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1 ძირითადი ინფორმაცია და საქმიანობა

შპს ენ ჯი თი ჯგუფი ("კომპანია") (საიდენტიფიკაციო კოდი: 204524274) არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც დაარსდა 2007 წლის 21 თებერვალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. მისი იურიდიული მისამართია საქართველო, თბილისი, საბურთალოს რაიონი, მარტავას ქუჩა #40.

2021 და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით უსუალო მლობელები იყვნენ ფიზიკური პირები: მამია მოცრაძე 33.4%-იანი წილით, დავით ხოსიაშვილი 33.3%-იანი წილით და დავით სამხარაძე 33.3%-იანი წილით.

თუ სხვაგვარად არ არის მითითებული, ფინანსური ანგარიშგება დამზადებულია ლარში.

ეს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს შემდეგი შვილობილი კომპანიების ფინანსურ ინფორმაციას:

შვილობილი	2021 წლის 31 დეკემბერი, მფლობელობა	2020 წლის 31 დეკემბერი, მფლობელობა	დაფუძნების თარიღი
შპს ნექსტ დეიტა სისტემს	60%	60%	2009
შპს ენ ჯი ჯორჯია	68%	-	2014
შპს ფაბრა	75%	75%	2012
შპს ენ ჯი თი გრუპ	100%	-	2011
შპს ბივიჟენი	70%	-	2021
შპს ენჯითი როქით სოლუმენს	60%	-	2021
შპს ზეპტოს	75%	-	2021
შპს ჯი თრასთ	75%	30%	2010

ჯგუფის დასაქმებულთა საშუალო რაოდენობა 2021 წლის განმავლობაში იყო 115 თანამშრომელი (2020: 37 თანამშრომელი).

ბიზნეს გარემო

პოლიტიკურ და ეკონომიკურ გარემოში მომხდარ ცვლილებებს და საქართველოში იურიდიული, საგადასახადო და საკანონმდებლო სისტემების ცვლილებებს განგრძობითი ხასიათი აქვს. საქართველოს ეკონომიკის სტაბილურობა და განვითარება დიდწილად დამოკიდებულია ამ ცვლილებებზე. მთავრობამ განაახლა ქმედებები უკეთესი მართვისთვის, მათ შორის გაზარდა ანტიკორუფციული ძალისხმევა, გამჭვირვალობა და ანგარიშვალდებულების პასუხისმგებლობა.

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ 2020 წლის მარტში კორონავირუსი (COVID-19) პანდემიად გამოაცხადა, რომელიც ჩინეთში 2019 წლის დეკემბერში გავრცელდა. კორონავირუსმა უკვე მნიშვნელოვანი გავლენა იქონია გლობალურ ეკონომიკასა და მსხვილ ფინანსურ ბაზრებზე.

მთავრობამ და საქართველოს ეროვნულმა ბანკმა მიიღეს გარკვეული ზომები ეკონომიკაში კორონავირუსის გავლენის შესამსუბუქებლად. ეს ღონისძიებები, სხვა ზომებთან ერთად, მოიცავს, სესხების სუბსიდირებას პანდემიით დაზარალებული ინდუსტრიებისთვის და საშვებულებო ანაზღაურებებს.

ჯგუფის მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ მათი ლიკვიდობის მდგომარეობა საკმარისია მდგრადი ფუნქციონირებისათვის. ჯგუფი რეგულარულად აკონტროლებს ლიკვიდურობის მდგომარეობას და საჭიროების შემთხვევაში მზად არის გამოიყენოს ლიკვიდურობის შესანარჩუნებლად შესაბამისი ინსტრუმენტები.

აღნიშნულმა მოვლენებმა, შემდგომში შესაძლოა მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს ჯგუფის სამომავლო ოპერაციებზე და ფინანსურ სტაბილურობაზე, რომლის სრულად პროგნოზირება მიმდინარე პერიოდში რთულია. სამომავლო ეკონომიკური, პოლიტიკური მდგომარეობა და მისი ზეგავლენა ჯგუფის საქმიანობაზე შეიძლება განსხვავებული იყოს ხელმძღვანელობის მიმდინარე მოლოდინისგან.

აღნიშნული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება არ ასახავს შესაძლო სამომავლო გავლენას ჯგუფის ოპერაციებზე.

2 შედეგის საფუძველი

2.1 განცხადება შესაბამისობის თაობაზე

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბასს) მიერ გამოშვებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია დაშვებით, რომ ჯგუფი ოპერირებს ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპით.

2.2 შეფასების საფუძველი

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში აქტივები და ვალდებულებები წარდგენილია დარიცხვის მეთოდით, ისტორიული ღირებულების პრინციპზე დაყრდნობით, გარდა ზოგიერთი ფინანსური ინსტრუმენტისა, რომლებიც წარდგენილია მომავალი ფულადი ნაკადების დღევანდელი დისკონტირებული ღირებულებით.

2.3 საოპერაციო და ანგარიშგების ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ლარი, რომელიც არის ჯგუფის ფუნქციონალური ვალუტა, რადგან ეს ვალუტა ყველაზე კარგად ასახავს ჯგუფის ეკონომიკურ მდგომარეობას, მის გარშემო არსებულ სიტუაციას და განხორციელებულ გარიგებებს.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებები წარმოდგენილია ქართულ ლარში (თუ სხვაგვარად არ არის მითითებული), ვინაიდან მენეჯმენტი თვლის, რომ აღნიშნულ ვალუტაში წარდგენილი ფინანსური ანგარიშგება უფრო რელევანტურ ინფორმაციას იძლევა მომხმარებლისთვის. ყველა ფინანსური ინფორმაცია წარმოდგენილი ლარებში დამრგვალებულია უახლოეს ლარამდე.

2.4 შეფასებების და მოსაზრებების გამოყენება

წინამდებარე კონსოლიდირებული ანგარიშგების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად მომზადებისათვის, ხელმძღვანელობამ გააკეთა კრიტიკული შეფასებები, რომლებიც გავლენას ახდენენ ანგარიშგებაში წარმოდგენილი აქტივებისა და ვალდებულებების თანხებზე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების თარიღისათვის, აგრეთვე საანგარიშგებო პერიოდის შესაბამის შემოსავლებზე და ხარჯებზე. კონკრეტული სფეროები, სადაც მნიშვნელოვანი შეფასებები და მსჯელობებია გამოყენებული, ან სადაც გამოყენებული დაშვებები და სააღრიცხვო შეფასებები მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაზე, განხილულია მე-16 მენიშვნაში. მიუხედავად იმისა, რომ ეს შეფასებები დაფუძნებულია ხელმძღვანელობის ცოდნაზე მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით, რეალური შედეგები შესაძლოა მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს ამ შეფასებებისგან და თავდაპირველი შეფასებები და დაშვებები შეიცვლება შესაბამის წელში, როდესაც გარემოებები შეიცვლება.

2.5 ახალი და შესწორებული სტანდარტების გამოყენება

ჯგუფმა მიმდინარე წელს მიიღო ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს ("IASB") მიერ გამოცემული ყველა ახალი და გადახდილი სტანდარტი და საერთაშორისო ფინანსური ანგარიშგების ინტერპრეტირების კომიტეტის ("IFRIC") მიერ გამოცემული ყველა ინტერპრეტაცია რომელიც ძალაშია 2020 წლის 1 იანვრიდან დაწყებული პერიოდებისათვის და რომელიც შესაბამისობაშია ჯგუფის ოპერაციებთან.

ცვლილებების გავლენა განხილულია ქვემოთ.

ახალი და გადახედული სტანდარტები და ინტერპრეტაციები რომლებიც ძალაშია 2020 წლის 1 იანვარს ან შემდგომ დაწყებული საანგარიშგებო პერიოდებისათვის.

ქვემოთ მოცემულია 2020 წელს განხორციელებული ახალი სტანდარტები და შესწორებები, რომლებსაც ზეგავლენა არ მოუხდენიათ ჯგუფის ყოველწლიურ ფინანსურ ანგარიშგებებზე.

სტანდარტი	სანდარტის ან ინტერპრეტაციის სახელწოდება
სხვადასხვა	საპროცენტო განაკვეთის ნიშნულის რეფორმის მეორე ფაზა (ფასს 9-ის, ბასს 39-ის, ფასს 16-ის, ფასს 4-ისა და ფასს 7-ის შესწორებები)

არსებული სტანდარტებიდან ის სტანდარტები, შესწორებები და ინტერპრეტაციები, რომლებიც ჯერ არ არის ეფექტური და ჯგუფს არ გამოუყენებია.

ამ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებების ხელმოწერის თარიღისათვის, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოქვეყნებული იყო ახალი სტანდარტები, შესწორებები და ინტერპრეტაციები, რომლებიც ჯერჯერობით არ არის ეფექტური და ჯგუფს ისინი არ გამოუყენებია.

ხელმძღვანელობა ვარაუდობს, რომ ყველა შესაბამისი განცხადება მიიღება ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკაში პირველივე პერიოდისათვის, რომელიც იწყება გამოცხადების ძალაში შესვლის თარიღიდან ან მას შემდეგ.

ხელმძღვანელობა არ ელის მნიშვნელოვან გავლენას ფინანსურ ანგარიშგებაზე არსებული სტანდარტებიდან და შესწორებებიდან:

სტანდარტი	სანდარტის ან ინტერპრეტაციის სახელწოდება	ძალაში შესვლის თარიღი
ფასს 16	COVID-19-ის პირობებში იჯარასთან დაკავშირებული შეღავათები 2021 წლის 30 ივნისის შემდეგ	1 აპრილი 2021
ფასს 3	კონცეპტუალური ჩარჩოს მითითებები (ცვლილებები ფასს 3-ში)	1 იანვარი 2022
ბასს 16	შემოსავლები მიზნობრივ გამოყენებამდე (ცვლილებები ბასს 16-ში)	1 იანვარი 2022
ბასს 37	რთული ხელშეკრულებები – ხელშეკრულების შესრულების ფასი (ცვლილებები ბასს 37-ში)	1 იანვარი 2022
ფასს 1, ფასს 9, ბასს 41, ფასს 16	ფასს 2018-2020 ყოველწლიური გაუმჯობესება (ცვლილებები ფასს 1, ფასს 9, ბასს 41, ფასს 16)	1 იანვარი 2022
ფასს 17	სადაზღვევო კონტრაქტები	1 იანვარი 2023
ფასს 4	ფასს 9-ის დროებით მიღებიდან პრივილეგიის გახანგრძლივება (ცვლილებები ფასს 4-ში)	1 იანვარი 2023
ფასს 17	ფასს 17-ისა და ფასს 9-ის პირველადი გამოყენება – შესადარისი ინფორმაცია (ცვლილებები ფასს 17-ში)	1 იანვარი 2023
ბასს 1	ვალდებულებების კლასიფიკაცია მიმდინარე და გრძელვადიან ვალდებულებებად (ცვლილება ბასს 1-ში)	1 იანვარი 2023
ბასს 12	ერთი ტრანზაქციით წარმოშობილ აქტივებსა და ვალდებულებებთან დაკავშირებული გადავადებული გადასახადი (ცვლილებები ბასს 12-ში)	1 იანვარი 2023

2.6 შვილობილი კომპანიები

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს შემდეგ შვილობილ კომპანიებს:

2021 წლის 31 დეკემბერი შვილობილი	მფლობელობა %	ქვეყანა	დაფუძნების თარიღი	შესყიდვის თარიღი
შპს ენ ერ ჯი ჯორჯია	68	საქარ-თველო	22-12-2014	22-03-2021
შპს ენ ჯი თი გრუპ	100	საქართველო	16-12-2011	25-03-2021
შპს ბივიქენი	70	საქართველო	04-08-2021	04-08-2021
შპს ენჯითი როქით სოლუმენს	60	საქართველო	21-01-2021	21-01-2021
შპს ზეპტოს	75	საქართველო	04-02-2021	04-02-2021
შპს ნექსტ დეიტა სისტემს	60	საქართველო	20-08-2009	30-06-2015
შპს ფაბრა	75	საქართველო	06-04-2012	15-05-2019
შპს ჯი თრასთ	75	საქართველო	17-08-2010	17-08-2010

3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა

3.1 კონსოლიდაციის საფუძვლები

ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება აერთიანებს მშობელ და ყველა შვილობილ კომპანიას, რომელსაც 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მშობელი კომპანია აკონტროლებდა. მშობელი კომპანიის და ყველა შვილობილი საწარმოს საანგარიშგებო პერიოდი სრულდება 31 დეკემბერს.

ყველა ტრანზაქცია და ბალანსი, მათ შორის არარეალიზებული მოგება და ზარალი, ჯგუფის კომპანიებს შორის ელიმინირებულია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას. როდესაც ჯგუფთაშორის აქტივების რეალიზაციისას წარმოქმნილი არარეალიზებული ზარალი კონსოლიდაციის დროს ანაზღაურდება, განსაკუთრებული აქტივის გაუფასურება შემოწმდება ჯგუფის პერსპექტივიდან. შვილობილი კომპანიების ფინანსური ანგარიშგების მონაცემები დაკორექტირდება საჭიროების შემთხვევაში, რათა დაცული იყოს თანმიმდევრულობა ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკაში.

წლის განმავლობაში შეძენილი ან გასული შვილობილი კომპანიების მოგება-ზარალი და სხვა სრული შემოსავლები აღიარებულია შეძენის ძალაში შესვლის თარიღიდან ან გასვლის ძალაში შესვლის თარიღამდე.

ჯგუფი შვილობილი კომპანიების მთლიან სრულ შემოსავალს ან ზარალს მიაკუთვნებს მშობელი საწარმოს და არამაკონტროლებელი წილებს ანაწილებს, მათი საკუთრების შესაბამისი წილიდან გამომდინარე.

3.2 ბიზნეს კომბინაციები

ბიზნეს კომბინაციების აღრიცხვისთვის ჯგუფი იყენებს შეძენის მეთოდს.

ჯგუფის მიერ შვილობილი კომპანიის კონტროლის მოპოვების მიზნით გადახდილი ანაზღაურება წარმოადგენს გადაცემის თარიღში გასული აქტივების რეალური ღირებულების, ვალდებულებებისა და ჯგუფის მიერ დათმობილი წილის (რომელიც მოიცავს აქტივის ან ვალდებულების სამართლიან ღირებულებას, რომელიც წარმოიქმნება პირობითი ვალდებულებების შეთანხმებიდან) ჯამს.

მიღებული აქტივები და ვალდებულებები ფასდება მათი შეძენის თარიღში არსებული რეალური ღირებულებით.

3.3 უცხოური ვალუტა

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ტრანზაქციები

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში საანგარიშგებო ვალუტაში (ლარი) გადაიყვანება ტრანზაქციის განხორციელების დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშგების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი მუხლები გადაანგარიშებულია ამავე თარიღისთვის არსებული ეროვნული ბანკის მიერ გამოცხადებული კურსით, რომელიც 2021 წლის 31 დეკემბერს ერთი ამერიკული დოლარისთვის შეადგენს 3.0976 ლარს და ერთი ევრო შეადგენს 3.5040 ლარს (2020 წლის 31 დეკემბერი: ერთი ამერიკული დოლარი 3.2766 ლარი და ერთი ევრო 4.0233 ლარი). არაფულადი მუხლების გადაანგარიშება წლის ბოლოს კურსით არ ხდება და ისინი ბალანსში წარდგენილია ისტორიული ღირებულებით (ლარში გადაყვანილია ტრანზაქციის განხორციელების დღის კურსით), გარდა სამართლიანი ღირებულებით წარდგენილი არაფულადი მუხლებისა, რომლებიც ლარში გადაყვანილია მათი სამართლიანი ღირებულების შეფასების დღის შესაბამისი კურსით.

საკურსო სხვაობით გამოწვეული სხვაობები ასახულია პერიოდის მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

3.4 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები წარმოდგენილია დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ფასს, საიმპორტო გადასახადებს, სხვა არადაბრუნებად გადასახადებსა და შეძენასთან პირდაპირ დაკავშირებულ სხვა ხარჯებს. როცა ძირითადი საშუალება შედგება რამოდენიმე არსებითი კომპონენტისაგან, რომლებსაც სხვადასხვა სასარგებლო მომსახურების ვადები აქვთ, მაშინ ასეთი კომპონენტები აღირიცხება ცალკე-ცალკე ძირითად საშუალებებად.

მშენებარე ძირითადი საშუალებები, რომლებიც გამოიზნულია წარმოებისთვის, გასაქირავებლად ან მიზნებისთვის, რომელიც ჯერ არ არის განსაზღვრული, აღირიცხება თვითღირებულებით, გამოკლებული გაუფასურების ზარალით. ღირებულება მოიცავს პირდაპირ ხარჯებს, მწყობრში მოყვანისა და მონტაჟის ხარჯებს, ასევე პროფესიონალური მომსახურებისა და სესხებთან დაკავშირებულ ხარჯებს რომელიც კაპიტალიზირდება ჯგუფის პოლიტიკის შესაბამისად.

აქტივის გაყიდვიდან ან ჩამოწერიდან მიღებული მოგება ან ზარალი, რომელიც წარმოადგენს სხვაობას მიღებული ანაზღაურების ღირებულებასა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის, აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ცალკე ერთეულად აღრიცხული ძირითადი საშუალების კომპონენტის ჩანაცვლებასთან დაკავშირებული ხარჯები კაპიტალიზირდება იმ კომპონენტის საბალანსო ღირებულებასთან ერთად, რომელიც ჩამოწერილ იქნა. სხვა დანახარჯები კაპიტალიზირდება იმ შემთხვევაში, თუ შესაძლებელია ეკონომიკური სარგებლის მიღება მომავალში. ყველა სხვა ხარჯი, მათ შორის აქტივის რემონტის დანახარჯები, აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში მისი გაწევისთანავე.

ცვეთის დარიცხვა ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში წრფივი მეთოდის გამოყენებით, თითოეული აქტივის სასიცოცხლო პერიოდის განმავლობაში. ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც აქტივი მზადაა გამოსაყენებლად. აქტივების სასიცოცხლო პერიოდები ჯგუფების მიხედვით შემდეგნაირია:

შენობა-ნაგებობები	- 50 წელი
მანქანები და მძიმე ტექნიკა	- 10-15 წელი
ავეჯი და ოფისის აღჭურვილობა	- 5-15 წელი
ტრანსპორტი	- 5-10 წელი
სხვა	- 5-10 წელი

ვინაიდან მიწის სასრული სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრა შეუძლებელია, შესაბამისი საბალანსო ღირებულებები ცვეთას არ ექვემდებარება.

3.5 არამატერიალური აქტივები

შეძენილი არამატერიალური აქტივები, რომელთაც აქვთ განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადა, ბალანსში წარდგენილია აკუმულირებული ამორტიზაციისა და აკუმულირებული გაუფასურების ზარალის თანხით შემცირებული თვითღირებულებით. პროგრამულ უზრუნველყოფაზე ამორტიზაციის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით მთლიანი სასიცოცხლო პერიოდის განმავლობაში და ამორტიზაცია აღიარდება ხარჯად მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

3.6 ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების გაუფასურება

აქტივებს, რომლებსაც აქვთ განუსაზღვრელი სასიცოცხლო ვადა, არ ერიცხება ამორტიზაცია და ხდება მათი ყოველწლიური გაუფასურების შეფასება, როდესაც მოვლენები ან გარემოებათა ცვლილებები მიანიშნებენ, რომ საბალანსო ღირებულება შეიძლება არ იყოს ანაზღაურებადი. გაუფასურების ზარალი აისახება, იმ თანხით რა თანხითაც აქტივის საბალანსო ღირებულება აჭარბებს მის ანაზღაურებად ღირებულებას.

ანაზღაურებადი ღირებულება განისაზღვრება, როგორც უდიდესი აქტივის წმინდა სარეალიზაციო ღირებულებასა და მის გამოყენების ღირებულებას შორის. თუ აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეული შეფასებულია საბალანსო ღირებულებაზე ნაკლებად, მაშინ აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის საბალანსო ღირებულება მცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე. გაუფასურების ზარალის ხარჯად აღიარება ხდება დაუყოვნებლივ, გარდა იმ შემთხვევისა, როცა აქტივი გადაფასებული თანხით აისახება, ამ შემთხვევაში გაუფასურების ზარალი უნდა აღირიცხოს როგორც გადაფასების შემცირება.

იმ შემთხვევაში, როცა ხდება გაუფასურების ზარალის კომპენსირება, აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის საბალანსო ღირებულება იზრდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, მაგრამ ისე, რომ გაზრდილი საბალანსო ღირებულება არ უნდა აჭარბებდეს საბალანსო ღირებულებას, რომელიც განსაზღვრული იქნებოდა წინა პერიოდში აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის გაუფასურების არ ქონის შემთხვევაში. გაუფასურების შეზღუდვა დაუყოვნებლივ აღიარდება შემოსავალში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც აქტივი გადაფასებულია, რა შემთხვევაშიც ნებისმიერი გაუფასურების ზარალის კომპენსირება აღირიცხება როგორც გადაფასების ზრდა.

3.7 იჯარა

ჯგუფი, როგორც მოიჯარე

ჯგუფი აფასებს მთლიანად ხელშეკრულება არის თუ არა იჯარა, ან შეიცავს თუ არა იჯარას. იჯარის ხელშეკრულების მიხედვით ხდება იდენტიფიცირებული აქტივის კონტროლის უფლების გადაცემა გარკვეული პერიოდის განმავლობაში ანაზღაურების მიღების სანაცვლოდ.

მოიჯარის მიერ იჯარის შეფასება და აღიარება

იჯარის დაწყების თარიღისათვის ჯგუფი აღიარებს აქტივების გამოყენების უფლებასა და საიჯარო ვალდებულებას კონსოლიდირებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში. აქტივის გამოყენების უფლება განისაზღვრება თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს საიჯარო ვალდებულების თავდაპირველ შეფასებას, ჯგუფის მიერ გაწეულ თავდაპირველ პირდაპირ დანახარჯებს, იჯარის ბოლოს აქტივის დემონტაჟისა და ლიკვიდაციისთვის საჭირო შეფასებით ხარჯებს და იჯარის დაწყების თარიღისთვის გადახდილ ავანსებს (ყველა მიღებული წამახალისებელი გადახდების გამოკლებით).

ჯგუფი, აქტივების გამოყენების უფლებებისთვის, იყენებს ცვეთის წრფივ მეთოდს იჯარის დაწყების თარიღიდან შემდეგ ორ თარიღს შორის უფრო ადრინდელ თარიღამდე: აქტივის გამოყენების უფლების სასარგებლო მომსახურების ვადის დასრულებისა და იჯარის ვადის დასრულების თარიღი. ჯგუფი ასევე აფასებს აქტივის გამოყენების უფლების გაუფასურებას, როდესაც ასეთი ინდიკატორი არსებობს.

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, ჯგუფი საიჯარო ვალდებულებას აფასებს მომავალი საიჯარო გადახდების მიმდინარე ღირებულებით, რომლებიც დისკონტირებულია იჯარაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთით, თუ ამ განაკვეთის განსაზღვრა ადვილად შეიძლება, ან ჯგუფის ზღვრული სასესხო განაკვეთის საშუალებით.

საიჯარო გადახდები, რომლებიც გაითვალისწინება საიჯარო ვალდებულების შეფასებაში, მოიცავს ფიქსირებულ გადახდებს (მათ შორის, არსებითად ფიქსირებულ გადახდებს), ინდექსზე ან განაკვეთზე დამოკიდებულ ცვლად საიჯარო გადახდებს, თანხებს, რომლებსაც მოსალოდნელია, რომ მოიჯარე გადაიხდის ნარჩენი ღირებულების გარანტიების მიხედვით და უფლებებით წარმოშობილ გადახდებს, თუ საკმარისად სარწმუნოა, რომ მოიჯარე ამ უფლებას გამოიყენებს.

იჯარის ვადის დაწყების თარიღის შემდეგ მოიჯარემ საიჯარო ვალდებულება უნდა შეამციროს განხორციელებული საიჯარო გადახდებით და გაზარდოს საიჯარო ვალდებულებასთან დაკავშირებული პროცენტით. საიჯარო ვალდებულების შეფასება ხდება პერიოდულად, რათა აისახოს ხელახალი შეფასების შედეგი, ან იჯარის მოდიფიკაციები, ან გადასინჯული არსებითად ფიქსირებული საიჯარო გადახდები.

საიჯარო ვალდებულების ხელახალი შეფასების შემდეგ, შესაბამისი კორექტირება აისახება აქტივის გამოყენების უფლებაზე ან მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, თუ აქტივის გამოყენების უფლების საბალანსო ღირებულება ნულია.

ჯგუფმა გადაწყვიტა მოკლევადიანი და დაბალი ღირებულების მქონე აქტივების იჯარა აღრიცხოს პრაქტიკული ხასიათის გამარტივებული მიდგომის გამოყენებით. აქტივის გამოყენების უფლებისა და საიჯარო ვალდებულების აღიარების ნაცვლად, იჯარასთან დაკავშირებული გადახდები აღიარდება ხარჯად მოგება-ზარალის ანგარიშგებაში წრფივი მეთოდით, იჯარის პერიოდის განმავლობაში.

ჯგუფი, როგორც მეიჯარე

როგორც მეიჯარე, ჯგუფი თავის იჯარებს აკლასიფიცირებს როგორც საოპერაციო, ისე ფინანსურ იჯარად. იჯარა კლასიფიცირდება, როგორც ფინანსური იჯარა, თუ ის გადასცემს არსებითად ყველა რისკს და სარგებელს, რომელიც დაკავშირებულია ძირითადი აქტივის საკუთრებაში მიღებასთან, და კლასიფიცირდება როგორც საოპერაციო იჯარა, თუ ეს არ არის.

3.8 სასაქონლო მატერიალური მარაგები

სასაქონლო მატერიალური მარაგები არის აქტივები რომლებიც განკუთვნილია მომხმარებელზე გასაყიდად, წარმოების პროცესში გამოსაყენებლად ან მომხმარებლისთვის მომსახურების გასაწევად. სასაქონლო მატერიალური მარაგები ასევე მოიცავს სათადარიგო ნაწილებს, სარეზერვო ტექნიკასა და მომსახურების გასაწევ ტექნიკას თუ ისინი არ შეესაბამებიან ძირითადი საშუალებების განმარტებას.

სასაქონლო მატერიალური მარაგები წარმოდგენილია საბალანსო ღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში პროდუქციის დასრულებისა და რეალიზაციისათვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული სავარაუდო გასაყიდი ფასია. სასაქონლო მატერიალური მარაგების ღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი მეთოდით და შეიცავს დანახარჯებს, რომელიც დაკავშირებულია აქტივის შეძენასთან და მის ადგილზე მიტანასთან.

3.9 ფინანსური ინსტრუმენტები

აღიარება, შეფასება და აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივი და ფინანსური ვალდებულება აღიარდება, მას შემდეგ, რაც კომპანია ხდება ფინანსური ინსტრუმენტების შესახებ სახელმწიფოებო ურთიერთობის მონაწილე. ფინანსური აქტივების აღიარება წყდება როდესაც ფინანსური სარგებლის მიღების სახელმწიფოებო უფლება ამოიწურება, ან, როდესაც ფინანსური აქტივი და მასთან დაკავშირებული რისკის მნიშვნელოვანი წილი გადადის სხვა მხარეზე. ფინანსური ვალდებულების აღიარება წყდება მას შემდეგ, რაც მისი სასიცოცხლო ვადა ამოიწურა ან გაუქმდა.

ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია და შესაბამისი შეფასება

გარდა იმ სავაჭრო მოთხოვნებისა, რომლებიც არ შეიცავენ მნიშვნელოვან ფინანსურ კომპონენტს და ფასს 15-ის თანახმად აღიარებული არიან ტრანზაქციის ფასით, ყველა ფინანსური აქტივი თავდაპირველად სამართლიანი ღირებულებით ფასდება, რომელიც ითვალისწინებს ტრანზაქციის დანახარჯებსაც (სადაც გამოყენებადია).

შეფასების მიზნებისათვის ფინანსური აქტივები, გარდა ჰეჯირების ინსტრუმენტებისა, დაყოფილია შემდეგ კატეგორიებად:

- ამორტიზირებული ღირებულებით აღრიცხული
- სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული, სამართლიანი ღირებულების ცვლილების მოგება-ზარალში ასახვით (FVTPL)
- სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული, სამართლიანი ღირებულების ცვლილების სხვა სრულ შემოსავლებში ასახვით (FVOCI).

საანგარიშგებო პერიოდში ჯგუფს არ ქონია არცერთი ფინანსური აქტივი რომელიც შეფასებული იქნებოდა სამართლიანი ღირებულებით, სამართლიანი ღირებულების ცვლილების მოგება-ზარალში ან სხვა სრულ შემოსავლებში ასახვით (FVTPL) საანგარიშგებო პერიოდში ჯგუფს არ ქონია არცერთი ფინანსური აქტივი რომელიც შეფასებული იქნებოდა სამართლიანი ღირებულებით, სამართლიანი ღირებულების ცვლილების მოგება-ზარალში ან სხვა სრულ შემოსავლებში ასახვით (FVOCI).

კლასიფიკაცია განისაზღვრება ორივე შემდეგი საკითხის გათვალისწინების საფუძველზე:

- ფინანსური აქტივების მართვისთვის ჯგუფის მიერ გამოყენებული ბიზნეს მოდელი
- ფინანსური აქტივიდან, შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე, მისაღები ფულადი ნაკადების მახასიათებლები

ფინანსურ აქტივებთან დაკავშირებული ყველა მოგება ან ზარალი, რომლებიც აღიარებულია მოგება-ზარალში, ჩართულია ფინანსურ ხარჯებში, ფინანსურ შემოსავალში ან სხვა ფინანსურ პუნქტებში, გარდა სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების ხარაჯისა, რომელიც წარმოდგენილია სხვა ხარჯებში. ჯგუფის ფინანსური აქტივები კატეგორიების მიხედვით წარმოდგენილია 1 შენიშვნაში.

ფინანსური აქტივების შემდგომი შეფასება

ფინანსური აქტივების ამორტიზირებული ღირებულებით შეფასება

ფინანსური აქტივები შეფასებულია ამორტიზირებული ღირებულებით თუ აკმაყოფილებს შემდეგ კრიტერიუმებს (და არ არის აღნიშნული როგორც FVTPL)

- კომპანია ფლობს ფინანსურ აქტივებს ისეთი ბიზნეს მოდელის პირობებში, რომლის მიზანია ფინანსური აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღების მიზნით;
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებს ადგენს ისეთი ფულადი ნაკადების მიღებისთვის, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირი თანხისა და ძირი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდისას.

ფინანსური აქტივები თავდაპირველი აღიარებისას შეფასებულია ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. დისკონტირება არ არის გათვალისწინებული, სადაც დისკონტირებას არამატერიალური ეფექტი აქვს. ჯგუფის ფული და ფულის ექვივალენტები, სავაჭრო და სხვა მოთხოვნები ფინანსური ინსტრუმენტების ამ კატეგორიას მიეკუთვნება.

ფინანსური აქტივები შეფასება რეალური ღირებულებით მოგება-ზარალში ასახვით (FVTPL)

ფინანსური აქტივები, რომლებსაც ჯგუფი ფლობს არა ისეთ ბიზნესმოდელში რომლის მიზანია, რომ ჯგუფმა მიიღოს სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები (hold to collect), კატეგორიზდება „რეალური ღირებულებით წარდგენილ ფინანსურ აქტივებად, რომელთა რეალური ღირებულების ცვლილება მოგება-ზარალში აისახება“ (FVTPL). გარდა ამისა, განურჩევლად ბიზნეს მოდელისა, ფინანსური აქტივები, რომელთა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები არ არის მხოლოდ ძირისა და პროცენტის გადახდები, აღირიცხება რეალური ღირებულებით მოგება-ზარალის ანგარიშგებაში (FVTPL). ყველა წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტი მიეკუთვნება ამ კატეგორიას, გარდა იმ ინსტრუმენტებისა, რომლებიც გათვალისწინებულია და ეფექტურია, როგორც ჰეჯირების ინსტრუმენტები, რომელთათვისაც გამოიყენება ჰეჯირების აღრიცხვის მოთხოვნები.

ამ კატეგორიის აქტივები იწოდება სამართლიანი ღირებულებით, და მათი სამართლიანი ღირებულების ცვლილებები აისახება მოგება-ზარალში. ამ კატეგორიის ფინანსური აქტივების რეალური ღირებულება

განისაზღვრება აქტიური საბაზრო გარიგებების გათვალისწინებით, ან შეფასების ტექნიკის გამოყენებით, სადაც არ არსებობს აქტიური ბაზარი.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

ფასს 9-ის მოთხოვნები იყენებს უფრო მეტად საპროგნოზო ინფორმაციას მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის აღიარებისას – „მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მოდელი“. ეს ანაცვლებს ბასს 39-ის „განცდილი ზარალის მოდელი“. ახალ არეალში მოქცეული ინსტრუმენტები, რომლებიც მოიცავს სესხებს და სხვა სავალო ტიპის ფინანსურ აქტივებს შეფასებულს ამორტიზებულ ხარჯად და FVOCI, სავაჭრო მოთხოვნები, სახელმეკრულებო აქტივები აღიარებული და შეფასებული ფასს 15-ის მიხედვით და სესხის გაცემის ვალდებულება და ფინანსური გარანტიის ხელშეკრულებები (ემიტენტისთვის), რომლებიც არ არიან შეფასებული რეალური ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით.

საკრედიტო ზარალის აღიარება აღარ არის დამოკიდებული ჯგუფის საკრედიტო ზარალის პირველად აღმოჩენის შემთხვევაზე. ამის მაგივრად ჯგუფი განიხილავს უფრო ფართო არეალის ინფორმაციას, როდესაც აფასებს საკრედიტო რისკს და მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს, ეს ინფორმაცია მოიცავს, წარსულ შემთხვევებს, მიმდინარე პირობებს, მართებულ და მისაღებ პროგნოზს, რომელსაც გავლენა აქვს ფინანსური აქტივის მომავალი ფულადი ნაკადების მოსალოდნელ შეგროვებადობაზე. ამ საპროგნოზო მიდგომის დანერგვისას, გამიჯვნა ხდება:

- ფინანსურ აქტივებს შორის, რომლებიც საკრედიტო ხარისხის მიხედვით საგრძნობლად არ გაუარესებულა საწყისი აღიარების შემდგომ ან აქვს დაბალი საკრედიტო რისკი (ფაზა1), და
- ფინანსურ აქტივებს შორის, რომლებიც საგრძნობლად გაუარესდნენ კრედიტის ხარისხის მიხედვით საწყისი აღიარების შემდგომ და მათი საკრედიტო რისკი არ არის დაბალი (ფაზა 2)

ფაზა 3 მოიცავს ფინანსურ აქტივებს, რომლებსაც აქვს გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება საანგარიშგებო თარიღისთვის.

„12 თვიანი საკრედიტო ზარალი“ აღიარებულია პირველი კატეგორიით, ხოლო „ფინანსური ინსტრუმენტის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი“ მეორე კატეგორიით.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის აღიარება განსაზღვრულია ალბათობებით შეწონილი საკრედიტო ზარალის შეფასებით ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი არსებობის მანძილზე.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

ჯგუფი იყენებს გამარტივებული მიდგომას სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ანგარიშგების დროს და აღრიცხავს ზარალის რეზერვის თანხას, როგორც ფინანსური ინსტრუმენტის არსებობის მანძილზე მოსალოდნელ საკრედიტო ზარალად. ეს არის მოსალოდნელი დეფიციტი სახელმეკრულებო ფულად ნაკადებში, რომელიც ითვლისწინებს პოტენციურ ვალდებულებების შეუსრულებლობას ფინანსური აქტივის არსებობისას ნებისმიერ დროს. ანგარიშის დროს, ჯგუფი იყენებს თავის ისტორიულ გამოცდილებას, გარე ფაქტორებს და საპროგნოზო ინფორმაციას მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ანგარიშის დროს.

ჯგუფი აფასებს სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურებას კოლექტიურ საფუძველზე რადგანაც ფლობენ საერთო საკრედიტო რისკის მახასიათებლებს დაჯგუფებულები არიან გადაცილებული ვადის მიხედვით. იხილეთ შენიშვნა 6 დეტალური ანალიზისთვის თუ როგორ არის ფასს 9-ის დანერგვა გამოყენებული გაუფასურების მოთხოვნებში.

ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაცია და შეფასება

ჯგუფის ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სესხებს, სავაჭრო და სხვა ვალდებულებებსა და საიჯარო ვალდებულებებს. ფინანსური ვალდებულებების შეჯამება კატეგორიების მიხედვით წარმოდგენილია შენიშვნა 17.2-ში.

სასესხო ვალდებულებები

სესხები აღიარებულია თავდაპირველად რეალური ღირებულებით, გამოკლებული სესხთან დაკავშირებული გაცემის ხარჯებით. სამართლიან და ნომინალურ ღირებულებებს შორის სხვაობა აღიარებულია მოგება-ზარალში, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა სესხის აღება ხდება მესაკუთრისგან. ამ შემთხვევაში განსხვავება სამართლიან და ნომინალურ ღირებულებას შორის აღიარდება კაპიტალში, როგორც კონტრიბუცია კაპიტალში. თავდაპირველი აღიარების შემდეგ, სესხების ოდენობა

განისაზღვრება ამორტიზირებული ღირებულებით ნებისმიერი სხვაობა ღირებულებასა და გამოსყიდვის ღირებულებას შორის აღიარდება მოგება-ზარალში, პერიოდის ეფექტური საპროცენტო განაკვეთის საფუძველზე. პროცენტები და სხვა ხარჯები დაკავშირებულია შესხვებთან არის ფინანსური ხარჯის ნაწილი, გარდა ხარჯებისა, რომლებიც პირდაპირ დაკავშირებულია განსაკუთრებული აქტივის შესყიდვასთან, აშენებასთან ან შექმნასთან, რომლებიც კაპიტალიზირდება როგორც ამ აქტივის ნაწილი.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები თავდაპირველად აღიარდება სამართლიანი ღირებულებით, ხოლო შემდგომში ისინი წარედგინება ამორტიზირებული ღირებულებით.

3.10 ნაღდი ფული და ფული საბანკო ანგარიშებზე

ნაღდი ფული და ფული საბანკო ანგარიშებზე, მოიცავს საბანკო ანგარიშებს.

3.11 კაპიტალის შევსებაზე პარტნიორების დავალიანება

კაპიტალის შევსებაზე პარტნიორების დავალიანება აღიარდება, როცა ჯგუფის მფლობელები იღებენ გადაწყვეტილებას კომპანიის საწესდებო კაპიტალის გაზრდის შესახებ და განსაზღვრავენ შენატანების კონკრეტული თანხას და დროს. კაპიტალის შევსებაზე პარტნიორების დავალიანება, თუ ის დენომინირებულია უცხოურ ვალუტაში, გადაფასდება ანგარიშგების თარიღისთვის, როგორც ფულადი მუხლი.

3.12 კაპიტალი

ჯგუფის საწესდებო კაპიტალის ოდენობა განსაზღვრულია წესდებით. ცვლილებები საწესდებო კაპიტალში (მათ შორის საწესდებო კაპიტალის, დამფუძნებლების და ა.შ.) შესაძლოა განხორციელდეს მხოლოდ დამფუძნებელთა გადაწყვეტილებით.

დაგროვილი მოგება/ზარალი შეიცავს მიმდინარე და წინა პერიოდების გაუნაწილებელ მოგებას.

მფლობელებთან განხორციელებული ყველა ოპერაცია ცალკე მუხლად აღირიცხება კაპიტალში.

დივიდენდები ვალდებულებად აღიარდება იმ პერიოდში, რომელშიც გამოცხადდება.

3.13 ანარიცხები

ანარიცხი აღიარებულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როდესაც ჯგუფს აქვს იურიდიული ან კონსტრუქციული ვალდებულება წარსული მოვლენის შედეგად, და სავარაუდოა, რომ ვალდებულებების დასაფარად საჭირო იქნება ეკონომიკური სარგებლის გადინება. თუ ეფექტი მატერიალურია, ანარიცხები განისაზღვრება მომავალი ფულადი ნაკადების დისკონტირებული ღირებულებით წინასწარ საგადასახადო განაკვეთზე, რაც ასახავს ფულის დროში ღირებულებას და სადაც შესაფერისია - ვალდებულებასთან დაკავშირებულ რისკებს.

3.14 მოგების გადასახადი

მიმდინარე მოგების გადასახადი არის საგადასახადო ვალდებულება პერიოდის დასაბეგრ მოგებაზე, რომელიც გაანგარიშებულია ანგარიშგების თარიღისთვის არსებული საგადასახადო განაკვეთით და ითვალისწინებს წინა წლებთან დაკავშირებული საგადასახადო ვალდებულების ყველა შესაძლო კორექტირებას.

საქართველოში 2017 წლის 1 იანვრიდან მოქმედი დაბეგვრის ახალი მოდელის („მოგების გადასახადის ესტონური მოდელი“) მიხედვით, მოგების გადასახადის განაკვეთი განისაზღვრა ნულოვანი განაკვეთით, იმ შემთხვევაში თუ არ მოხდება მოგების განაწილება და დარჩება კომპანიაში გაუნაწილებელი მოგების სახით, ხოლო 15%-ით დაიბეგრება განაწილებული მოგება. 2017 წლის 1 იანვრიდან კომპანიები დაიბეგრებიან მოგების გადასახდით, თუ მოხდება მოგების განაწილება (დივიდენდის გაცემა) და ასევე, მოგების გადასახდით იბეგრება ისეთი ტრანზაქციები ინდივიდუალურ პირებთან, რომელიც დაკავშირებულია მოგების მიღებასთან (ბენეფიტი, საჩუქარი, გადასახადები, რომლებიც არაა ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული და სხვა).

დივიდენდის გაცემასთან დაკავშირებული მოგების გადასახადი აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც მოხდა მისი გამოცხადება. ამ შემთხვევაში მოგების განაწილება იბეგრება 15/85.

2016 წლამდე დაგროვილ გაუნაწილებელ მოგებაზე, 2017 წელს გამოცხადებული და გადახდილი დივიდენდი, იბეგრება მოგების გადასახადით წინა წლების მოდელის მიხედვით.

აღნიშნული ცვლილების გამო, არ წარმოიქმნება დროებითი სხვაობები კომპანიის აქტივებსა და ვალდებულებებში 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, შესაბამისად ბასს 12 ის მოხედვით, არ არსებობს გადავადებული მოგების გადასახადის არც აქტივი და არც ვალდებულება.

3.15 დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

დაქირავებულ პირთა მოკლევადიანი გასამრჯელოები, რომელთა გადახდა მთლიანად ხდება იმ წლიური საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვეში, რომლის განმავლობაშიც დაქირავებული პირები გასწევნ შესაბამის მომსახურებას, მოიცავს:

- (ა) ხელფასებს, ანაზღაურებებსა და პრემიებს;
- (ბ) წლიურ ფასიან შვებულებებს და ბიულეტენის ანაზღაურებებს;

თუ დაქირავებულმა პირმა რომელიმე საადრიცხო პერიოდში ჯგუფს გაუწია მომსახურება, დაქირავებუ;ო პირის მოკლევადიანი გასამრჯელოების არადისკონტირებული ოდენობა, რომელიც გადასახდელია ამ მომსახურებისთვის, საწარმომ უნდა აღიაროს:

(ა) როგორც ვალდებულება (დარიცხული ხარჯი) ნებისმიერი, უკვე გადახდილი თანხის გამოკლების შემდეგ. თუ უკვე გადახდილი თანხა აღემატება გასამრჯელოს არადისკონტირებულ ღირებულებას, ნამეტი თანხა უნდა აღიარდეს აქტივად (წინასწარ გაწეულ ხარჯად) იმ ოდენობით, რა ოდენობითაც წინასწარ გადახდა უზრუნველყოფს მომავალში გადასახდელების შემცირებას ან ფულადი სახსრების უკან დაბრუნებას.

(ბ) როგორც ხარჯი, თუკი მისი ოდენობა არ არის ჩართული აქტივის თვითღირებულებაში.

პრემიები

გადასახდელი პრემიების მოსალოდნელი ხარჯი აღიარდება მხოლოდ და მხოლოდ მაშინ, თუწარსული მოვლენის შედეგად კომპანიას აქვს ზემოაღნიშნული გასამრჯელოების გადახდის მიმდინარე იურიდიული ან კონსტრუქციული ვალდებულება და შესაძლებელია ვალდებულების საიმედოდ შეფასება.

მიმდინარე ვალდებულება მხოლოდ მაშინ არსებობს, როდესაც საწარმოს არა აქვს სხვა რეალური ალტერნატივა, გარდა იმისა, რომ გადაიხადოს ეს გასამრჯელოები.

3.16 შემოსავალი

იმისათვის, რომ შემოსავალი იქნეს აღიარებული ჯგუფმა უნდა შეასრულოს ხუთ-საფეხურიანი პროცესი:

1. მომხმარებელთან ხელშეკრულების იდენტიფიკაცია
2. შესასრულებელი ვალდებულებების იდენტიფიკაცია
3. გარიგების ფასის განსაზღვრა
4. გარიგების ფასის განაწილება შესასრულებელ ვალდებულებაზე
5. შემოსავლის აღიარება, როდესაც ნაკისრი ვალდებულება შესრულდება.

ჯგუფის ძირითადი შემოსავლის წყარო მოიცავს სპილენძისა და ალუმინის კაბელების გაყიდვიდან მიღებულ შემოსავლებს.

ზემოთ აღნიშნული შემოსავლის აღიარება ხდება შემოსავლის მიღებისას დროის კონკრეტულ მომენტში.

დროის გარკვეული მომენტის დასადგენად, როდესაც მომხმარებელი მოიპოვებს კონტროლს დაპირებულ აქტივზე და ჯგუფი დაფარავს შესასრულებელ ვალდებულებას, ჯგუფი ითვალისწინებს კონტროლთან დაკავშირებულ მოთხოვნებს. აქტივის კონტროლი გულისხმობს აქტივის გამოყენების და არსებითად ყველა დარჩენილი სარგებლის მიღების უნარს. კონტროლი მოიცავს უნარს, ხელი შეუშალოს სხვა სუბიექტებს აქტივის გამოყენებასა და მისგან სარგებლის მიღებაში.

4 ძირითადი საშუალებები

ქართული ლარი

	მიწა და შენობა- ნაგებობები	მანქანა- დანადგარები და აღჭურვილობა	ავეჯი და ოფისის აღჭურვილობა	სატრანსპორტ ო საშუალებები	დაუმთავრებ ლი მშენებლობა	სხვა	სულ
<i>თვითღირებულება</i>							
1 იანვარი, 2020 წელი	1,202,965	-	224,786	19,800	-	-	1,447,551
შვილობილი კომპანიის ბალანსი [1 თებ]	-	-	-	-	-	-	-
მატება	83,218	-	28,425	-	1,981,519	-	2,093,162
კლება	-	-	(2,247)	-	-	-	(2,247)
გადატანა	-	-	-	-	-	-	-
31 დეკემბერი, 2020 წელი	1,286,183	-	250,964	19,800	1,981,519	-	3,538,466
მატება	52,389	1,020,252	333,096	303,434	3,640,952	521,545	5,871,668
კლება	(25,150)	(125,024)	(130,028)	(88,695)	(2,152,457)	(2,107)	(2,523,461)
გადატანა	134,994	-	-	-	(134,994)	-	-
შვილობილი კომპანიის ბალანსი [25 მარტ]	3,115,756	7,529,674	280,018	391,359	2,858,878	600,748	14,776,433
31 დეკემბერი, 2021 წელი	4,564,172	8,424,902	734,050	625,898	6,193,898	1,120,186	21,663,106
<i>დაგროვილი ცვეთა</i>							
1 იანვარი, 2020 წელი	162,531	-	121,716	1,320	-	-	285,567
შვილობილი კომპანიის ბალანსი [1 თებ]	-	-	-	-	-	-	-
წლის ცვეთა	63,954	-	33,947	3,960	-	-	101,861
კლების შედეგად ცვეთის ელიმინირება	-	-	(359)	-	-	-	(359)
31 დეკემბერი, 2020 წელი	226,485	-	155,304	5,280	-	-	387,069
წლის ცვეთა	63,687	648,748	190,940	94,920	-	53,552	1,051,847
კლების შედეგად ცვეთის ელიმინირება	-	(33,273)	(74,026)	(55,737)	-	(1,885)	(164,921)
შვილობილი კომპანიის ბალანსი [25 მარტ]	202,638	1,780,365	95,235	70,658	-	138,467	2,287,363
31 დეკემბერი, 2021 წელი	492,810	2,395,840	367,453	115,121	-	190,134	3,561,358
<i>საბალანსო ღირებულება</i>							
31 დეკემბერი, 2020 წელი	1,059,698	-	95,660	14,520	1,981,519	-	3,151,397
31 დეკემბერი, 2021 წელი	4,071,362	6,029,062	366,597	510,777	6,193,898	930,052	18,101,748

კომპანიის ყველა ძირითადი საშუალება 2020 და 2021 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, გამოყენებულია სესხების უზრუნველყოფისთვის.

ცვთვის ხარჯი დაერიცხა მარაგების თვითღირებულებას ან მიეკუთვნა ადმინისტრაციულ ხარჯებს.

5 მარაგები

ქართული ლარი	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი
ნედლეული და მასალები	6,279,102	-
მზა პროდუქცია	5,579,778	1,106,918
ნახევრად მზა პროდუქცია	1,723,991	-
სხვა	38,961	5,165
	<u>13,621,832</u>	<u>1,112,083</u>

წლის განმავლობაში ხარჯად აღიარებული მარაგების თვითღირებულება არის 35,687,517 ლარი (2020 წელი: 4,280,139 ქართული ლარი).

მარაგები არ გამოიყენება ვალდებულებების უზრუნველსაყოფად.

6 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

ქართული ლარი	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი
სავაჭრო მოთხოვნები	1,158,653	2,592,240
საკრედიტო დანაკარგების რეზერვი	(249,195)	(92,705)
სხვა მოთხოვნები	8,745	1,970,000
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	<u>918,203</u>	<u>4,469,535</u>

თანხები მოკლევადიანია. სავაჭრო მოთხოვნების წმინდა საბალანსო ღირებულება უტოლდება მის სამართლიან ღირებულებას.

სავაჭრო მოთხოვნებს პროცენტი არ ერიცხება.

ჯგუფის ყველა სავაჭრო და სხვა მოთხოვნები შესადარის პერიოდებში გადახდილ იქნა გაუფასურების მაჩვენებლების შესაბამისად. გაუფასურებული სავაჭრო მოთხოვნები არის წარმოქმნილი ძირითადად მომხმარებლების მხრიდან ბიზნესში-ბიზნეს ბაზრაზე, რომლებიც ფინანსურ სირთულეებს განიცდიან.

შენიშვნა 17 (ბ) მოიცავს გამჟღავნებას, რომელიც ეხება საკრედიტო რისკის ექსპოზიციას და ანალიზს, რომელიც დაკავშირებულია მოსალოდნელ საკრედიტო ზარალთან. როგორც მიმდინარე, ასევე შესადარისი პერიოდების გაუფასურების ანარიცხი იყენებს ფასს 9 - მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მოდელს. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები ვალუტების მიხედვით იხილეთ შენიშვნა 17 (ა)-ში.

7 ფული სალაროში და საბანკო ანგარიშებზე

ქართული ლარი	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი
ფული სალაროში	8,699	986
ფული საბანკო ანგარიშებზე	3,628,888	777,426
საბანკო გარანტიები	154,095	-
	<u>3,791,682</u>	<u>778,412</u>

ფულადი სახსრების ვალუტის მიხედვით განაწილებისათვის იხილეთ შენიშვნა 17 (ა)-ში.

8 სესხები

ლარი	მიმდინარე		გრძელვადიანი	
	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი
უზრუნველყოფილი სესხი ბანკებისაგან	3,582,614	222,513	15,949,033	935,880
არაუზრუნველყოფილი სესხები დაკავშირებული მხარეებისგან	2,536,009	-	-	-
	6,118,623	222,513	15,949,033	935,880

ბანკებიდან ნასესხები სახსრები საშუალოდ 8 წლიანია და საშუალო წლიური საპროცენტო განაკვეთი არის 7%-დან 14.2%-მდე, სესხები უზრუნველყოფილია კომპანიის ძირითადი საშუალებით (იხ. შენიშვნა 4). უცხოური ვალუტის რისკების ჯგუფზე ზემოქმედების შესახებ დამატებითი ინფორმაციისათვის იხილეთ მე-18 პუნქტი.

9 სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

ქართული ლარი	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი
სავაჭრო ვალდებულებები	1,595,803	1,959,628
გადასახდელი გადასახადები და ჯარიმები	622,506	-
მომხმარებლისგან მიღებული ავანსები	563,652	74,607
ვალდებულებები პერსონალის მიმართ	46,858	18,000
სხვა	81,000	-
	2,909,819	2,052,235

სავაჭრო ვალდებულებებს პროცენტი არ ერიცხება.

უცხოური ვალუტის შესახებ ინფორმაცია იხილეთ შენიშვნა 18 (ა)-ში.

10 საწესდებო კაპიტალი

2021 წლის 27 მარტს სათაო კომპანიის, შპს ენ ჯი თი ჯგუფის, მფლობელებმა გაზრადეს მისი საწესდებო კაპიტალი. კაპიტალის ზრდა მოხდა არაფულადი სახით - კომპანიის კაპიტალში შეტანილი იქნა 100%-იანი წილი შპს ენ ჯი თი გრუპ-ში, რომელსაც მანამდე ფლობდნენ შპს ენ ჯი თი ჯგუფის მფლობელები.

კაპიტალში შეტანისას შპს ენ ჯი თი გრუპ-ის კაპიტალის 100% წილი შეფასდა სამართლიანი ღირებულებით, რაც, დამუკიდებელი შემფასებლების ანგარიშის საფუძველზე, განისაზღვრა 12,450,000 ლარის ტოლად.

11 შემოსავალი

ქართული ლარი	2021 წელი	2020 წელი
შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან	47,869,100	4,894,176
შემოსავალი გაწეული მომსახურებიდან	6,813,714	1,823,574
შემოსავალი სამონტაჟო სამუშაოებიდან	38,205	-
	54,721,019	6,717,750

შემოსავალი გაწეული მომსახურებიდან მოიცავს ჯგუფის მიერ გაყიდული ელექტრონული მოწყობილობების პროგრამული უზრუნველყოფის მხარდაჭერის მოსახურებიდან და სააბონენტო გადასახადიდან მიღებულ შემოსავალს.

12 რეალიზებული საქონლისა და მომსახურების თვითღირებულება

ქართული ლარი	2021 წელი	2020 წელი
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	35,687,517	4,280,139
გაწეული მომსახურების თვითღირებულება	124,022	52,127
პროგრამული უზრუნველყოფის მხარდაჭერის მომსახურების თვითღირებულება (ხელფასი, ლიცენზიების სააბონენტო გადასახდები, აუტოსორსული ხარჯები)	3,673,611	-
	<u>39,485,150</u>	<u>4,332,266</u>

13 ადმინისტრაციული ხარჯები

ქართული ლარი	2021 წელი	2020 წელი
თანამშრომელთა ხელფასის ხარჯები	5,615,626	1,115,941
იჯარის და კომუნალური ხარჯები	726,802	30,642
საკონსულტაციო მომსახურება	466,703	61,661
ცვეთა და ამორტიზაცია	408,869	163,271
საოფისე ხარჯები	112,377	12,314
რემონტის ხარჯი	56,229	1,534
მოთხოვნების გაუფასურების ხარჯი	52,559	-
საწვავის ხარჯი	26,420	1,594
წარმომადგენლობითი ხარჯები	15,648	684
მივლინების ხარჯი	12,661	-
კომუნიკაციის ხარჯები	11,593	7,584
სადაზღვევო ხარჯები	4,865	-
სხვა	303,265	51,048
	<u>7,813,617</u>	<u>1,446,273</u>

14 ფინანსური შემოსავლები და ხარჯები

ქართული ლარი	2021 წელი	2020 წელი
საპროცენტო ხარჯები ბანკის სესხებიდან	(1,773,864)	-
საპროცენტო ხარჯები დაკავშირებული მხარეების სესხებიდან	(167,601)	(17,405)
საპროცენტო ხარჯები სხვა კომპანიებიდან მიღებული სესხებიდან	(22,733)	-
მთლიანი ფინანსური ხარჯები	<u>(1,964,198)</u>	<u>(17,405)</u>
საპროცენტო შემოსავალი მოკლევადიანი საბანკო დეპოზიტებიდან	21,192	-
საპროცენტო შემოსავალი სხვა კომპანიებზე გაცემული სესხებიდან	25,691	-
საპროცენტო შემოსავალი დაკავშირებულ მხარეზე გაცემული სესხებიდან	31,993	38,952
სულ ფინანსური შემოსავალი	<u>78,876</u>	<u>38,952</u>
წმინდა ფინანსური შემოსავალი / (ხარჯი)	<u>(1,885,322)</u>	<u>21,547</u>

15 შემდგომი მოვლენები

2022 წლის 24 თებერვალს რუსეთი შეიჭრა უკრაინაში. მიმდინარე სამხედრო თავდასხმას მოჰყვა უკრაინაში მნიშვნელოვანი მსხვერპლი, მოსახლეობის დისლოკაცია, ინფრასტრუქტურის დაზიანება და ეკონომიკური აქტივობის შეფერხება, რაც ახლაც გრძელდება.

ამის საპასუხოდ, მრავალი ქვეყნის იურისდიქციით, მათ შორის ევროკავშირმა, შვეიცარიამ, დიდმა ბრიტანეთმა, აშშ-მ, კანადამ, იაპონიამ და ავსტრალიამ დაუწესეს ეკონომიკური სანქციები რუსეთს (და ზოგიერთ შემთხვევაში ბელორუსს). სანქციების დაწესების გარდა, მსხვილმა სახელმწიფო და კერძო კომპანიების მზარდმა რაოდენობამ გამოაცხადა ნებაყოფლობითი ქმედებები რუსეთთან და ბელორუსთან ბიზნეს საქმიანობის შესამცირებლად. ეს ქმედებები მოიცავს აქტივების განკარგვის გეგმებს ან ოპერაციების შეწყვეტას რუსეთში/ბელორუსში, ამ ქვეყნებში ექსპორტის ან იმპორტის შეზღუდვას და სერვისების მიწოდების შეწყვეტას.

გარდა ამისა, არსებობს რუსეთში საჯაროდ აქციებით მოვაჭრე კომპანიების სია, რომლებიც შეაჩერეს გარკვეული საფონდო ბირჟებიდან და გამორიცხეს ბაზრის მაჩვენებლებიდან. რუსეთის ცენტრალურმა ბანკმა დროებით შეაჩერა აქციებითა და დერივატივებით ვაჭრობა და ადგილობრივმა ხელისუფლებამ ასევე დროებით აუკრძალა უცხოელ ინვესტორებს რუსული აქტივების გაყიდვა და მნიშვნელოვანი შეზღუდვები დააწესა უცხოური სუბიექტებისთვის ნებისმიერ გადახდებზე, მაგ. ფინანსური ვალდებულებების დაფარვაზე.

ომი უკრაინაში და მასთან დაკავშირებული მოვლენები ხდება მნიშვნელოვანი გლობალური ეკონომიკური გაურკვევლობისა და ცვალებადობის დროს და ეფექტები, სავარაუდოდ, ურთიერთქმედებს და გააძლიერებს მიმდინარე ბაზრის ეფექტებს. ბევრი სექტორი/იურისდიქცია უკვე განიცდის სასაქონლო ფასების ზრდისა და ნედლეულის ხარჯების გაზრდის ზემოქმედებას, რაც გამოწვეულია მომხმარებელთა მოთხოვნის ზრდის შედეგად COVID-19 პანდემიის შემსუბუქების გამო. მიწოდების ჯაჭვის შეფერხებები, რომლებიც წარმოიქმნება პანდემიის ეფექტებიდან, კვლავ გრძელდება და იზრდება მუშახელის დეფიციტისა და სავაჭრო წნეხის გამო. ეს პირობები შეიძლება მნიშვნელოვნად გამწვავდეს უკრაინაში ომის ფართო ეფექტებით, ინფლაციური ზეწოლის გაზრდით და გლობალური პოსტპანდემიური აღდგენის შესუსტებით.

როგორც 16.2 შენიშვნაშია ნაჩვენები, ჯგუფის ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ უკრაინაში სამხედრო კონფლიქტის გავლენა ჯგუფზე, რომელიც დაიწყო 2022 წლის თებერვლის ბოლოს, არ არის მნიშვნელოვანი ან კრიტიკული.

16 კრიტიკული სააღრიცხვო შეფასებები და მსჯელობები

დაშვებები და მსჯელობები ეფუძნება ისტორიულ გამოცდილებას, ამასთან გაითვალისწინება სხვა ფაქტორებიც, როგორებიც არის მომავალი მოვლენების განვითარებასთან დაკავშირებული მოლოდინები, რომლებიც კონკრეტულ სიტუაციაში გონივრულად მიიჩნევა.

16.1 მნიშვნელოვანი ბუღალტრული შეფასებები

ჯგუფი შეფასებებს აკეთებს სამომავლო ფაქტორების გათვალისწინებით. მიღებული სააღრიცხვო შეფასებები, შესაძლოა განსხვავებული იყოს რეალურ შედეგისაგან. შეფასებები და დაშვებები, რომლებიც შეიცავს მნიშვნელოვან რისკს სამომავლოდ აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების კორექტირების საჭიროებისა, განხილულია ქვემოთ.

ძირითადი საშუალებების სასიცოცხლო ვადები

მენეჯმენტმა შეაფასა ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის ხანგრძლივობა. მენეჯმენტი დარწმუნებულია, რომ ეს შეფასებები მნიშვნელოვნად არ განსხვავდება ამ აქტივების ეკონომიკური მომსახურების ვადის ხანგრძლივობისგან. თუ რეალური სასარგებლო მომსახურების ვადა განსხვავდება ამ შეფასებებისგან, მაშინ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებები არსებითად განსხვავებული იქნება.

მარაგები

მენეჯმენტი აფასებს ნელა მოძრავი მარაგების წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას და ითვალისწინებს ყველაზე სანდო შესაძლებელ მტკიცებულებას თითოეული საანგარიშგემო

პერიოდისთვის. მარაგების სამომავლო რეალიზაციაზე შესაძლოა გავლენა იქონიოს სამომავლო ტექნოლოგიებმა ან სხვა საბაზრო ცვლილებებმა, რამაც შესაძლოა შეამციროს მომავალი გადასაყიდი ფასები.

16.2 ძირითადი დაშვებები მომავალთან დაკავშირებით

ჯგუფის მენეჯმენტის აზრით, COVID-19-ით გამოწვეული პანდემიის ზემოქმედება არსებით გავლენას არ მოახდენს ჯგუფის ფუნქციონირებადობაზე, ასევე, სავარაუდოდ, მას არ ექნება უარყოფითი გავლენა ჯგუფის შედეგებზე.

ჯგუფის ხელმძღვანელობის აზრით, უკრაინაში სამხედრო კონფლიქტის გავლენა, რომელიც დაიწყო 2022 წლის თებერვლის ბოლოს (შენიშვნა 0) არ არის მნიშვნელოვანი ან კრიტიკული. ომთან დაკავშირებული სანქციები არ ვრცელდება ჯგუფზე ან მის მენეჯერებზე ან აქციონერებზე.

მიუხედავად ამისა, მნიშვნელოვანი გაურკვევლობების გათვალისწინებით, მენეჯმენტი მოელის, რომ ჯგუფს ექნება საკმარისი რესურსები, რათა გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ. აქედან გამომდინარე, ჯგუფი აგრძელებს ამ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისთვის უფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპების გამოყენებას.

17 ფინანსური ინსტრუმენტები

17.1 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა

სააღრიცხვო პოლიტიკები და მეთოდები, მათ შორის აღიარების კრიტერიუმები, რომლის საფუძველზეც ხდება შემოსავლის თუ ხარჯის აღიარება ფინანსური აქტივის და ვალდებულების კლასების შესაბამისად, წარმოდგენილია შენიშვნა 3.9-ში.

17.2 ფინანსური ინსტრუმენტების კატეგორიები

ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია შემდეგი კატეგორიის ფინანსური აქტივები და ვალდებულებები:

ფინანსური აქტივები

ქართული ლარი	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი
ამორტიზირებული ღირებულება		
ნაღდი ფული და ფული საბანკო ანგარიშებზე	3,791,682	778,412
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	918,203	4,469,535
გაცემული სესხები	34,085	296,160
სხვა მოთხოვნები	654,146	5,000
სულ ფინანსური აქტივები	5,398,116	5,549,107

ფინანსური ვალდებულებები

ქართული ლარი	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი
ამორტიზირებული ღირებულება		
გრძელვადიანი სესხები	15,949,033	935,880
მიმდინარე სესხები	6,118,623	222,513
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	1,697,612	1,977,628
სულ ფინანსური ვალდებულებები	23,765,268	3,136,021

18 ფინანსური რისკის მართვა

ჯგუფი ექვემდებარება სხვადასხვა რისკების ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებით. ძირითადი რისკების ტიპებია: საბაზრო, საკრედიტო და ლიკვიდურობის რისკი.

ჯგუფი არ არის ჩართული ფინანსური აქტივებით ვაჭრობაში სპეკულაციური მიზნებისათვის და არც ოფციონებს გასცემს. ჯგუფის ყველაზე მნიშვნელოვანი ფინანსური რისკები აღწერილია ქვემოთ.

ფინანსური რისკის ფაქტორები

ა) საბაზრო რისკი

ჯგუფი არ არის დაცული საბაზრო რისკისაგან ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების გამო და კონკრეტულად სავალუტო რისკისაგან და საპროცენტო განაკვეთის რისკისაგან, რომელიც გამოწვეულია, როგორც საოპერაციო აგრეთვე, საინვესტიციო საქმიანობიდან.

უცხოური ვალუტის რისკი

ჯგუფი ახორციელებს უცხოურ ვალუტაში დენომინირებულ გარკვეულ ტრანზაქციებს. აქედან გამომდინარე, გამოვლინდება საკურსო სხვაობებით წარმოქმნილი მერყეობა.

ჯგუფის ტრანზაქციების უმეტესობა არის ეროვნულ ვალუტაში. საკურსო სხვაობები გამოწვეულია ჯგუფის უცხოელ მომწოდებლებთან ვაჭრობის გამო, რაც ძირითადად დენომინირებულია ამერიკულ დოლარში და ევროში. ჯგუფს ასევე აქვს სესხები დოლარში.

უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფინანსური აქტივები და ვალდებულებები რომლებიც ჯგუფს დაუცველს ხდის სავალუტო რისკისაგან განხილულია ქვემოთ. ნაჩვენებია თანხები წარგენილია მმართველი მენეჯმენტისთვის გადაყვანილი ლარში, პერიოდის ბოლოს არსებული განაკვეთით:

მუხლი

2021 წლის 31 დეკემბერი

ფინანსური აქტივი

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები
გაცემული სესხები
ფული და საბანკო ანგარიშები

აშშ დოლარი	ევრო
21,920	-
30,976	-
1,000,126	1,004,683
1,053,022	1,004,683

ფინანსური ვალდებულებები

სესხები
სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

3,423,612	-
1,210,890	-
1,198,860	367,536
5,833,362	367,536

წინდა პოზიცია

(4,780,340)	637,147
-------------	---------

მუხლი

2020 წლის 31 დეკემბერი

ფინანსური აქტივი

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები
გაცემული სესხები
ფული და საბანკო ანგარიშები

აშშ დოლარი	ევრო
155,583	2,330,306
-	-
1,111,982	75,389
1,267,565	2,405,695

ფინანსური ვალდებულებები

სესხები
სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

-	-
3,146,075	-
1,813,948	905,302

წმინდა პოზიცია

4,960,023	905,302
(3,692,458)	1,500,393

ცხრილი ასახავს დოლარის და ევროს მიმართ ლარის 15% (2020: 15%) გამყარების გავლენას ჯგუფზე. აღნიშნული 15% (2020: 15%) არის მმართველობის მიერ შეფასებული შესაძლო ცვლილების ზღვარი დოლარის და ევროს გაცვლით კურსებში. მგრძნობელობის ანალიზი მოიცავს მხოლოდ დომინანტ ვალუტას და ახდენს წლის ბოლოს მათ კორექტირებას 15%-იანი (2020: 15%) განაკვეთით.

ქართული ლარი რომ გამყარებულიყო დოლართან მიმართებაში 15% ით (2020: 15%), მაშინ ამას ექნებოდა შემდეგნაირი გავლენა:

ქართული ლარი	აშშ დოლარის გავლენა		ევროს გავლენა	
	2021	2020	2021	2020
მოგება/ზარალი	707,598	553,869	(95,572)	(225,059)

უცხოური ვალუტის კურსების ზემოქმედება წლის განმავლობაში იცვლება საზღვარგარეთ განხორციელებული ტრანზაქციების მოცულობის მიხედვით. მიუხედავად ამისა, ზემოაღნიშნული ანალიზი მიჩნეულია ჯგუფის სავალუტო რისკის ზემოქმედების წარმომადგენლად.

საპროცენტო განაკვეთის რისკი

ჯგუფი ექვემდებარება საპროცენტო განაკვეთის რისკს, რადგან ის სესხულობს სახსრებს როგორც ფიქსირებული, ასევე მცოცავი განაკვეთებით. ამ რისკს ჯგუფი მართავს ფიქსირებული და მცოცავი განაკვეთის სესხებს შორის შესაბამისი ნაზავის შენარჩუნებით.

ქვემოთ მოცემული სენსიტიურობის ანალიზი ჩატარდა საპროცენტო განაკვეთების 3%-იანი ცვლილებისთვის. 3% წარმოადგენს მენეჯმენტის შეფასებას საპროცენტო განაკვეთების შესაძლო ცვლილების შესახებ.

თუ საპროცენტო განაკვეთები იყო 3%-ით მაღალი/დაბალი და ყველა სხვა ცვლადი უცვლელი იქნებოდა, ჯგუფის:

- 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის მოგება შემცირდება/გაიზრდება 662 ათასი ლარით (2020 წელი: მატება/კლება 35 ათასი ლარით);

ჯგუფის მგრძნობელობა საპროცენტო განაკვეთების მიმართ გაიზარდა/შემცირდა ძირითადად საქართველოს ეროვნული ბანკის რეფინანსირების განაკვეთის ზრდის გამო.

ბ) საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი წარმოადგენს რისკს, რომ კონტრაგენტი ვერ შეასრულებს კონტრაქტით გათვალისწინებულ ვალდებულებას, რაც გამოიწვევს კომპანიის ფინანსურ ზარალს. კომპანია ატარებს საკრედიტო რისკს ფინანსური აქტივებისგან, რომელიც მოიცავს ფულს და ფულად ექვივალენტებს რომელიც განთავსებულია ბანკში, და სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს.

საკრედიტო რისკი იმართება ჯგუფის დონეზე მისი საკრედიტო რისკის მართვის პოლიტიკისა და პროცედურების მიხედვით.

საკრედიტო რისკი დაკავშირებული ფულად ბალანსებთან და დეპოზიტებთან ბანკში იმართება საბანკო დეპოზიტების დივერსიფიკაციით და განთავსებულია მხოლოდ კარგი რეპუტაციის მქონე ფინანსურ ინსტიტუტებში.

სავაჭრო მოთხოვნები მოიცავს მომხმარებელების დიდ რაოდენობას სხვადასხვა სექტორებიდან. ჯგუფს არ აქვს უზრუნველყოფა სავაჭრო მოთხოვნების ნაშთზე. ამას გარდა, ჯგუფი არ ფლობს უზრუნველყოფას სხვა ფინანსური აქტივებისთვის (მაგალითად. ნაღდი ფული და ფულის ექვივალენტები ბანკებში).

სავაჭრო მოთხოვნები

ჯგუფი იყენებს ფასს 9-ის გამარტივებულ მოდელს არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ასაღიარებლად ყველა სავაჭრო მოთხოვნისთვის, რადგან აღნიშნული მუხლები არ შეიცავს მნიშვნელოვანი დაფინანსების კომპონენტს.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასებისას, სავაჭრო მოთხოვნები ფასდება კოლექტიურად, რადგან მათ გააჩნიათ საერთო საკრედიტო რისკის მახასიათებლები. მოთხოვნები დაჯგუფებულია გადავადებული დღეების მიხედვით.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის განაკვეთი დამოკიდებულია გაყიდვების საგადახდო პროფილზე ბოლო 24 თვით მანძილზე 2021 წლის 31 დეკემბრამდე და 2021 წლის 1 იანვრამდე, შესაბამისად, ასევე შესაბამისი განცდილი საკრედიტო ზარალი მოცემულ პერიოდში. ისტორიული განაკვეთები კორექტირებულია, რათა აისახოს მიმდინარე და სამომავლო მაკროეკონომიკური ფაქტორები, რომლებსაც გავლენა აქვთ მომხმარებლების შესაძლებლობაზე დაფარონ დარჩენილი რაოდენობა. ჯგუფმა დაადგინა, რომ სფი ინფლაცია, ბიზნეს მომხმარებლებისთვის არის ყველაზე შესაფერისი ფაქტორი და შესაბამისად აკორექტირებს ისტორიული ზარალის მაჩვენებლებს ამ ფაქტორებში მოსალოდნელი ცვლილებებით. მიუხედავად ამისა, საკრედიტო რისკისთვის მოცემული მოკლევადიანი პერიოდის გამო, ამ მაკროეკონომიკური ფაქტორების გავლენა სააღრიცხვო პერიოდის განმავლობაში არ იყო მიჩნეული მნიშვნელოვნად.

სავაჭრო მოთხოვნები ჩამოიწერება (აღარება წყდება), როდესაც არ არის გონივრული მოლოდინი მოთხოვნების აღდგენისა.

ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი სავაჭრო მოთხოვნებისთვის 2021 წლის 31 დეკემბრისა და 2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით განისაზღვრა შემდეგნაირად:

2021 წლის 31 დეკემბერი

	მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	მთლიანი საბალანსო ღირებულება	არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი
1 თვეზე ნაკლები	0%	518,587	-
1-დან 6 თვემდე	0%	265,748	-
6 თვიდან 1 წლამდე	93%	125,013	9,402
1 წელზე მეტი	98%	258,050	239,793
		1,167,398	249,195

2020 წლის 1 იანვარი

	მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	მთლიანი საბალანსო ღირებულება	არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი
1 თვეზე ნაკლები	0%	2,324,296	-
1-დან 6 თვემდე	0%	2,020,427	-
6 თვიდან 1 წლამდე	14%	18,936	2,673
1 წელზე მეტი	45%	198,581	90,032
		4,562,240	92,705

ბ) ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი გულისხმობს, კომპანიის ვალდებულებების გადახდისუნარიობას. ჯგუფი ახორციელებს ფრთხილ პოლიტიკას ლიკვიდურობის მართვასთან დაკავშირებით, რომელიც გულისხმობს საკმარისი რაოდენობის ფულის და მისი ექვივალენტების ფლობას, აგრეთვე მაღალ ლიკვიდური აქტივების ფლობას, რათა კომპანიამ დროულად გადაიხადოს ყველა საოპერაციო და სასესო ვალდებულება. შემდეგი ცხრილი დეტალურად ასახავს ჯგუფის კონტრაქტის დაფარვის ვადამდე არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებების შეთანხმებული გადახდის პერიოდის მიხედვით. ცხრილი შედგენილ იქნა არადისკონტირებული ფინანსური ვალდებულებების არადისკონტირებული ფულადი ნაკადებით, დაფუძნებული უახლოეს თარიღზე როდესაც შეიძლება კომპანიის მიმართ მოთხოვნილ იქნას აღნიშნული ვალდებულების გასტუმრება. ცხრილი შეიცავს ფინანსური ნაკადების, როგორც ძირს, ასევე პროცენტს.

2021	საპროცენტო განაკვეთის არმქონე	ცვლადი საპროცენტო განაკვეთის მქონე ინსტრუმენტები	ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის მქონე ინსტრუმენტები	ჯამი
6 თვეზე ნაკლები	3,350,707	4,577,756	3,680,105	11,608,569
6 თვიდან 1 წლამდე	-	1,911,574	-	1,911,574
1-დან 5 წლამდე	-	16,403,817	-	16,403,817
5 წელზე მეტი	-	6,383,781	-	6,383,781
	3,350,707	29,276,928	3,680,105	36,307,741

2020	საპროცენტო განაკვეთის არმქონე	ცვლადი საპროცენტო განაკვეთის მქონე ინსტრუმენტები	ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის მქონე ინსტრუმენტები	ჯამი
6 თვეზე ნაკლები	1,998,156	137,676	-	2,135,832
6 თვიდან 1 წლამდე	-	137,676	-	137,676
1-დან 5 წლამდე	-	1,032,202	-	1,032,202
5 წელზე მეტი	-	-	-	-
	1,998,156	1,307,554	-	3,305,710

ლიკვიდურობის რისკის შესაბამისად ჯგუფი იყენებს მოსალოდნელ ფულად ნაკადებს ფინანსური აქტივებიდან, განსაკუთრებით კი ფულადი სახსრების და სავაჭრო მოთხოვნების შეფასების მიზნით.

19 რეალური ღირებულებით შეფასება

ჯგუფი გვთავაზობს იმ ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ანალიზს, რომლებიც თავდაპირველი აღიარების შემდგომ შეფასებულია რეალური ღირებულებით და აჯგუფებს მათ 3 დონეზე. თითოეული დონე განხილულია ქვემოთ:

- დონე 1 – რეალური ღირებულება განისაზღვრება იდენტური აქტივების ან ვალდებულებების აქტიურ ბაზარებზე მოპოვებული კოტირებული ფასებით (გაუკორექტირებელი);
- დონე 2 – რეალური ღირებულება განისაზღვრება მოცემული აქტივის ან ვალდებულების შესახებ 1-ელ დონეზე მიკუთვნებული ყველა მონაცემით, გარდა კოტირებული ფასებისა, რომლებიც ემპირიულია პირდაპირ (ანუ ფასების მიხედვით) ან არაპირდაპირ (ანუ ფასებიდან გამომდინარე) და;
- დონე 3 - რეალური ღირებულება განისაზღვრება აქტივის ან ვალდებულების შესახებ არაემპირიული ამოსავალი მონაცემებით (არადაკვირვებადი მონაცემები).

19.1 ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულებით შეფასება

ფინანსური ინსტრუმენტები ამორტიზირებული ღირებულებით

საბანკო და სხვა სესხების რეალური ღირებულება უახლოვდება მათ საბალანსო ღირებულებას.

რეალური ღირებულება განისაზღვრა მიმდინარე ღირებულების ტექნიკის გამოყენებით.

19.2 არაფინანსური აქტივების რეალური ღირებულებით შეფასება

ჯგუფს არ აქვს არაფინანსური აქტივები, რომლებიც შეფასებულია რეალური ღირებულებით, პერიოდულობის საფუძველზე 2021 და 2020 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით.

20 კაპიტალის რისკის მართვა

ჯგუფი ისე მართავს კაპიტალს, რომ შეძლოს საქმიანობის გაგრძელება ფუნქციონირებადობის პრინციპით და აქციონერები უზრუნველყოს ადექვატური უკუგებით.

ჯგუფის კაპიტალის სტრუქტურა შედგება დედა კომპანიის მფლობელებზე მიკუთნებული საკუთარი კაპიტალის წილისგან, რომელიც მოიცავს საწესდებო კაპიტალს და აკუმულირებულ ზარალს, რომელიც შედგება შენიშვნა 8-ში განხილული სესხებისგან.

ჯგუფი აკონტროლებს კაპიტალის მდგომარეობას „წმინდა ვალისა“ და „კორექტირებული კაპიტალის“ კოეფიციენტების მეშვეობით.

ქართული ლარი	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი
წმინდა ვალი		
სესხები	22,067,656	1,158,393
გამოკლებული: ნაღდი ფული და ფული საბანკო ანგარიშებზე	(3,791,682)	(778,412)
	18,275,974	379,981
კაპიტალის კორექტირება		
მთლიანი კაპიტალი	19,771,724	6,699,779
	19,771,724	6,699,779
კაპიტალის თანაფარდობა სრულ მოზიდულ სახსრებთან	92.4%	5.67%

21 გაუთვალისწინებელი გარემოებები

21.1 დაზღვევა

საქართველოს სადაზღვევო სექტორი განვითარების სტადიაზეა და დაზღვევის მრავალი ფორმა ამჟამად არ არის ხელმისაწვდომი. ჯგუფს ამ ეტაპზე დაზღვეული არ აქვს თავისი შენობები, ბიზნესის შეფერება, ან მესამე მხარის პასუხისმგებლობა ჯგუფის ქონებაზე მომხდარი უბედური შემთხვევის ან ჯგუფის ოპერაციებთან დაკავშირებული საკუთრების ან გარემოს ზარალთან დაკავშირებით. სანამ ჯგუფი მიიღებს ადეკვატურ სადაზღვევო დაფარვას, არსებობს რისკი იმისა, რომ გარკვეული აქტივების დაკარგვა ან განადგურება ან გარემოსთვის ზიანის მიყენება არსებითად უარყოფით გავლენას მოახდენს ჯგუფის ოპერაციებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე.

21.2 გადასახადები

საქართველოში საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და ხასიათდება ხშირი საკანონმდებლო ცვლადობებით, რომლებიც ხშირად ხდება ინტერპრეტაციების საგანი. ხშირად, განსხვავებული ინტერპრეტაციები არსებობს სხვადასხვა საგადასახადო ორგანოსა და იურისდიქციებში. გადასახადები საგადასახადო ორგანოების მხრიდან ექვემდებარება განხილვას და შემოწმებას, რომელიც წარმოშობს კანონით გათვალისწინებულ მკაცრ ჯარიმებსა და საურავებს.

ამ ფაქტორებმა შესაძლოა წარმოშვას საგადასახადო რისკი საქართველოში, არსებითად უფრო მეტად ვიდრე სხვა განვითარებულ ქვეყნებში. მენეჯმენტს სჯერა, რომ საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციის საფუძველზე საგადასახადო ვალდებულებები ადეკვატურად არის განსაზღვრული. თუმცა, შესაბამის ორგანოებს შესაძლოა ჰქონდეთ განსხვავებული ინტერპრეტაციები და ეფექტი შეიძლება იყოს მნიშვნელოვანი.

21.3 გარემოსდაცვითი საკითხები

მენეჯმენტის აზრით, ჯგუფი აკმაყოფილებს მთავრობის მოთხოვნებს გარემოსდაცვით საკითხებთან მიმართებაში შესაბამისად, თვლის, რომ ჯგუფს არ გააჩნია რაიმე მნიშვნელოვანი მატერიალური ეკოლოგიური ვალდებულებები. თუმცა, საქართველოში გარემოსდაცვითი კანონმდებლობა შემუშავების პროცესშია, კანონმდებლობაში პოტენციური ცვლილებებია და მისმა ინტერპრეტაციამ შეიძლება მომავალში გამოიწვიოს მნიშვნელოვანი მატერიალური ვალდებულებები.

22 შვილობილი კომპანიების შეძენა

2021 წლის განმავლობაში შპს ენ ჯი თი ჯგუფმა (მშობელმა კომპანიამ) დააფუძნა/შეიძინა შვილობილი კომპანიები: შპს ენ ჯი თი გრუპ, შპს ბივიქენი, შპს ენჯითი როქით სოლუშენს, შპს ზეპტოს, ენ ერ ჯი ჯორჯია.

23 ფული და ფულის ექვივალენტები

ფულადი სახსრების ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშების მიზნებისათვის, ფულადი სახსრები და მისი ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს სალაროში და საბანკო ანგარიშებზე და ასევე მოკლევადიან ინვესტიციებს 3 თვეზე ნაკლები ვადით, საბანკო ოვერდრაფტების გამოკლებით. ფულადი სახსრები და საბანკო ნაშთები ფინანსური წლის ბოლოს, როგორც ნაჩვენებია ფულადი სახსრების ნაკადების კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში, შეიძლება შეჯერდეს ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში არსებულ შესაბამის მუხლებთან, შემდეგნაირად:

ქართული ლარი	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი
ფული და საბანკო ანგარიშები	3,791,682	778,412
საბანკო ოვერდრაფტი	-	-
	<u>3,791,682</u>	<u>778,412</u>

24 ფინანსური საქმიანობიდან წარმოქმნილი ვალდებულებების შეჯერება

ჯგუფის ვალდებულებები წარმოქმნილი საფინანსო საქმიანობიდან შეიძლება კლასიფიცირდეს შემდეგნაირად:

ქართული ლარი	ადებული სესხები
2020 წლის 1 იანვარი	13,142,497
ფულადი ნაკადების მოძრაობა:	-
აღება	2,092,753
დაფარვა	(53,948)
საპროცენტო გადახდები	-
არაფულადი ცვლილებები:	
ელიმინაცია შვილობილი საწარმოს გაყიდვიდან	(14,018,618)
დარიცხული პროცენტი	-
მოგება/ზარალი ვალუტის კურსის ცვლილებიდან	(4,291)
2020 წლის 31 დეკემბერი	<u>1,158,393</u>
ფულადი ნაკადების მოძრაობა:	
აღება	15,812,782
დაფარვა	(11,490,411)
საპროცენტო გადახდები	(1,902,644)
არაფულადი ცვლილებები:	
გადასახადები	-
ელიმინაცია შვილობილი საწარმოს გაყიდვიდან	16,944,825
დარიცხული პროცენტი	1,964,198
მოგება/ზარალი ვალუტის კურსის ცვლილებიდან	(419,487)
რეკლასიფიკაცია	-
2021 წლის 31 დეკემბერი	<u>22,067,656</u>

25 დაკავშირებული მხარეები

კომპანიის დაკავშირებულ მხარეებს წარმოადგენენ საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი კომპანიები, კომპანიის ხელმძღვანელობა და სხვა ქვემოთ მოცემული.

25.1 საკონტროლო ურთიერთობები

ჯგუფს აკონტროლებს შპს ენჯითი ჯგუფი, რომლის საბოლოო მაკონტროლებელი მხარეები არიან: დავით ხოსიაშვილი – 33,3%, დავით სამხარაძე – 33,3% და მამია მოცრაძე – 33,4%.

25.2 ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

საანგარიშგებო წლის განმავლობაში კომპანიას დაკავშირებულ მხარეებთან ჰქონდა შემდეგი ოპერაციები და ნაშთები:

ქართული ლარი
ოპერაციები

აქციონერები

საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია

შვილობილი კომპანიის აქციების გაყიდვა

შემოსავლები სესხებიდან

სესხების გადახდა

დარიცხული საპროცენტო ხარჯები

საპროცენტო გადასახადები

სესხების ანარიცხი

დარიცხული საპროცენტო შემოსავლები

საერთო კონტროლის ქვეშ არსებული კომპანიები

საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია

საპროცენტო შემოსავალი

საპროცენტო ხარჯი

ნედლეულის, სხვა მასალების და მომსახურების შეძენა

ქართული ლარი
ნაშთები

აქციონერები

გაცემული სესხები

მიღებული სესხები

საერთო კონტროლის ქვეშ არსებული კომპანიები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

გაცემული სესხები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

2021 წელი

2020 წელი

-

21,432

576,000

-

3,229,010

-

(2,543,369)

50,000

-

142

(167,601)

-

(108,983)

-

-

35,479

-

-

-

-

-

-

-

-

2021 წლის 31
დეკემბერი

2020 წლის 31
დეკემბერი

-

281,631

(2,491,076)

-

-

-

-

-

-

-

25.3 ოპერაციები ხელმძღვანელობასთან და ახლო ოჯახის წევრებთან

მმართველმა ხელმძღვანელობამ მიიღო შემდგომი ანაზღაურება წლის განმავლობაში, რაც შედის ხელფასების ხარჯში მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ქართული ლარი	2021 წელი	2020 წელი
ხელფასები და პრემიები	1,404,783	866,443

კონსოლიდირებული მმართველობითი ანგარიშგება

1. კომპანიის შესახებ

შპს „ენ ჯი თი ჯგუფი“ (შემდგომში მოხსენიებული, როგორც „კომპანია“) (საიდენტიფიკაციო კოდი: 204524274) არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც 2007 წელს დაფუძნდა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. მისი იურიდიული მისამართია საქართველო, თბილისი, საბურთალოს რაიონი, ჟიული შარტავას ქუჩა, N40

უშუალო მფლობელები არიან ფიზიკური პირები:

მამია მოცრაძე	54001014452	33.4%
დავით ხოსიაშვილი	01020004893	33.3%
დავით სამხარაძე	01011030530	33.3%.

ძირითად საქმიანობას წარმოადგენს რიგის მართვის სისტემის რეალიზაცია მონტაჟი, ვიდეო სამეთვალყურეო სისტემების რეალიზაცია და მონტაჟი, საინფორმაციო ტექნოლოგიების მიწოდება, დანერგვა და ტექნიკური მხარდაჭერა, საბანკო ტექნიკით ვაჭრობა და ასევე სხვადასხვა ელექტრო საქონელის რეალიზაცია.

ენ ჯი თი ჯგუფი

მრავალპროფილური IT კომპანია, რომელიც თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით კლიენტებს მომსახურებისა და ბიზნეს გადაწყვეტილებათა სრულყოფილ სპექტრს სთავაზობს. საქართველოს ბაზარზე 2007 წლიდან ვმოღვაწეობთ და ამ ხნის განმავლობაში ძალიან დიდი გამოცდილება დაგვიგროვდა.

ჩვენ ვართ 25-ზე მეტი ლიდერი საერთაშორისო ბრენდის ოფიციალური წარმომადგენელი საქართველოში და ჩვენი სერვისით სარგებლობენ უმსხვილესი კომპანიები საცალო, საბანკო, სამთავრობო, საწარმოო, სამედიცინო და სხვა ინდუსტრიებში.

1000-ზე მეტი წარმატებული პროექტი და 300-მდე კმაყოფილი კომპანია ჩვენი კომპეტენციის მყარი დასტური და გარანტიაა.

კომპანიის პირდაპირი და არაპირდაპირი მონაწილეობა და წილის ოდენობები

პირდაპირი მონაწილეობა	წილი
შპს ნექსტ დეიტა სისტემს	60%
შპს ენ ერ ჯი ჯორჯია	68%
შპს ფაბრა	75%
შპს ენ ჯი თი გრუპ	100%
შპს ბივიჟენი	70%
შპს ენ ჯი თი როქით სოლუშენს	60%
შპს ზეპტოს	75%
შპს ჯი თრასთი	75%

ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლების მიმოხილვა

2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული ფინანსური წლის შემოსავალმა შეადგინა 54,721,019 ლარი ხოლო წმინდა მოგება შეადგინა 5,860,800 ლარი.

ფინანსური ანგარიშგებების მომზადებისას ჯგუფი ხელმძღვანელობს ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად. 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშო წლისთვის ფინანსური ანგარიშგება დადასტურებულია დამოუკიდებელ აუდიტორი „გრანტ თორნტონ საქართველოს“ დასკვნით.

კომპანიაში დანერგილია მმართველობითი აღრიცხვის 1C ERP (Enterprise Resource Planning) სისტემა, რომელიც არის მსსოფლიო ბაზრის ერთ-ერთი ლიდერი მსგავსი ტიპის სისტემებში.

2. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

2.1. საქართველოს მაკროეკონომიკური პირობების მიმოხილვა და პოლიტიკური რისკების ანალიზი

2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის, ისევე როგორც წინა წლებში, კომპანიის მთლიანად შემოსავლის ძირითადი ნაწილი კონცენტრირებულია საქართველოში, შესაბამისად კომპანიის ფინანსური ზრდა და შემდგომი განვითარება პირდაპირ კავშირშია საქართველოს ეკონომიკაში მიმდინარე პროცესებთან. ქვემოთ ცხრილში წარმოდგენილია ძირითადი მაკროეკონომიკური მაჩვენებლები:

	2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის	2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის
რეალური მშპ-ის ზრდა/(კლება) %	10.4	-6.2
მშპ მიმდინარე ფასებში, მილიარდი ლარი	60.2	49.3
მშპ მუდმივ 2015 წლის ფასებში, მილიარდი ლარი	41.5	37.6
ინფლაცია (პერიოდის ბოლო, %)	13.9	2.4
პირდაპირი უცხოური ინვესტიციები (მილიონი აშშ დოლარი)	1,152.8	572
მშენებლობა (ბრუნვა, მილიარდი ლარი)	8.4	8.2
მშენებლობა (გამოშვებული პროდუქცია, მილიარდი ლარი)	9	9.1

წყარო: საქართველოს სსტატისტიკის ეროვნული სამსახური

საქსტატის მიხედვით, 2021 წელს საქართველოს ეკონომიკა 10.4%-ით გაიზარდა და 62 მილიარდი ლარი შეადგინა. იგივე მონაცემები 2020 წელს -6.2%-ით, 2019 წელს 5,2%-ით, 2018 წელს 4.8%-ით, 2017 წელს 4.8%-ით, ხოლო 2016 წელს 2.9%-ით განისაზღვრა.

სამშენებლო სექტორში მთლიანმა 2021 წლის ბრუნვამ 8.4 მირიარდი ლარი შეადგინა რაც წინა წლის მონაცემზე 2.44%-ით მეტია.

2.2. ვალუტის ცვალებადობა

ქვეყანაში არასტაბილური სავალუტო ბაზრის არსებობიდან და ამასთანავე ბიზნეს საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე კომპანიაზე მოქმედებს ვალუტის მერყეობა და გაუფასურება ევროსა თუ დოლარის მიმართ.

2021 წლის მანძილზე ლარის და აშშ დოლარის გაცვლითი კურსი მერყეობდა 3.0774-დან 3.4548-მდე რაც წარმოადგენს 11%-მდე რყევას.

აღნიშნული სავალუტო რისკის მინიმიზირებისთვის კომპანიამ გრძელვადიანი საბანკო ვალდებულებები დააფიქსირა ქართულ ლარში, რამაც მოახდინა სავალუტო რისკის მინიმიზირება

3. კომპანიასთან დაკავშირებული რისკები

3.1. ფასების ცვალებადობა

კომპანიის ძირითადი საქმიანობა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული იმპორტზე. სავალუტო ბაზრის არასტაბილურობისა და კურსის რყევების გამო, საწარმოს მასალებსა და მომსახურების ფასებზე ცვლილება გავლენას ახდენს საბოლოო პროდუქტის ფასზე.

4. ფინანსური მონაცემების შიდა კონტროლის მექანიზმები

ფინანსური მონაცემების მიმოცვლა ჯგუფში ხდება დადგენილი პროცედურების დაცვით, სადაც მნიშვნელოვან როლს თამაშობს ჯვარედინი კონტროლის მექანიზმი. ეს უკანასკნელი უზრუნველყოფს მიწოდებული ფინანსური მონაცემების სიზუსტეს.

ინფორმაციის გაზიარება რამდენიმე სტრუქტურულ ერთეულს შორის ხდება რიგი საფეხურების დადასტურების შემდეგ, რათა ჯგუფის მენეჯმენტი დარწმუნებული იყოს, რომ ინფორმაციის მიმღებს მიეწოდება უტყუარი ინფორმაცია. ამასთან ის ფაქტიც, რომ მიმღებს აქვს უფლება გაეცნოს შესაბამის ინფორმაციას.

ჯგუფს შემუშავებული აქვს შიდა კონტროლის პოლიტიკა და პროცედურები, რომელთა მეშვეობითაც ხდება ნებისმიერი სახის მონაცემების გაცვლა სტრუქტურულ ერთეულებს შორის და მათზე კონტროლის განხორციელება. ასევე, ჯგუფს შემუშავებული აქვს ფინანსური თვის და წლის დახურვის პროცედურები შესაბამისი კონტროლის მექანიზმებით, რაც საფუძველია იმისთვის, რომ პროგრამულად აღიარებული ინფორმაცია სრულფასოვანი და უტყუარია.

5. დასაქმებასთან დაკავშირებული საკითხები და კადრების შენარჩუნება

ჯგუფი სულ უფრო მეტი წარმატებით ახერხებს ადგილობრივ შრომის ბაზარზე საუკეთესო პროფესიონალების მოძიებასა და მოზიდვას. ჯგუფი ცდილობს, გააუმჯობესოს ეფექტურობა ორგანიზაციის როგორც მიკრო, ისე მაკრო დონეზე და მენეჯმენტს მიაჩნია, რომ კომპეტენციის განვითარება გრძელვადიანი სტრატეგიის განხორციელების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი გზაა.

კერძოდ, ჯგუფის მიზანია, გაუმჯობესდეს ორგანიზაციის მიერ სიახლეების დანერგვის უნარი და დაიხვეწოს არსებული პრაქტიკა. მეორე მხრივ, ჯგუფისთვის უაღრესად მნიშვნელოვანია თითოეული

თანამშრომლის უსაფრთხოება. უპირველეს ყოვლისა, თითოეულ თანამშრომელს აქვს უფლება, იმუშაოს უსაფრთხო და ჯანსაღ გარემოში, რათა არც მათ და/ან არც მათ ოჯახებს არ შეექმნათ

პრობლემები სამუშაო ადგილზე არსებული ისეთი საფრთხეების გამო, რომელთა თავიდან არიდება შესაძლებელი იყო. შესაბამისად, ჯგუფი ქმნის უსაფრთხო სამუშაო გარემოს თანამშრომლებისათვის არსებული კანონმდებლობის მოთხოვნების დაცვით. ეს თანამშრომლებს საშუალებას აძლევს, სრულად გამოავლინონ თავიანთი პოტენციური ყოველ სამუშაო დღეს.

გარემოსდაცვითი საკითხები

ჯგუფი გარემოსდაცვითი საქმიანობის წლიდან წლამდე გაუმჯობესების მიზნით შემდეგ ძირითად ფაქტორებზე ამახვილებს ყურადღებას:

- ✓ ორგანიზაციის მასშტაბით დანერგილი კორპორაციული კულტურა;
- ✓ საქმიანობის მკაფიოდ ჩამოყალიბებული სტანდარტები და საოპერაციო პროცედურები;
- ✓ შესაბამისი ტექნიკური აღჭურვილობა, რომელიც შეესაბამება მსოფლიოში აღიარებულ სტანდარტებს;
- ✓ მღალი კომპეტენციის მქონე თანამშრომლები.

გარემოსდაცვითი საქმიანობის გაუმჯობესება კლიენტების, მომწოდებლების, მარეგულირებელ ორგანოების, ინვესტორების, თანამშრომლებისა და საზოგადოების თვალში რეპუტაციის ამაღლების ერთ-ერთი უმთავრესი ფაქტორია.

6. განცხადება ეკოლოგიურ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შესახებ

6.1. უსაფრთხოების მხარდაჭერა

ჩვენი კომპანიისთვის არაფერია იმაზე მნიშვნელოვანი, ვიდრე იმ ადამიანების უსაფრთხოება, რომლებიც ჩვენთან არიან დასაქმებულები ან რომლებთანაც ვთანამშრომლობთ. როგორც დაბალი ძაბვის გადამცემი კაბელების წარმოების წამყვანმა ჯგუფმა, ჩვენ მიზნად დავისახეთ უბედური შემთხვევების სრულად აღმოფხვრა და ამის მისაღწევად ჯგუფის შიგნით ხდება პერიოდული ტრენინგები და უსაფრთხოების მხრივ პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლება. ამისათვის, გამოიყენება როგორც შიდა რესურსი აგრეთვე მოწვეული ექსპერტები და გარე სასერთიფიკატო კურსები.

7. COVID-19-ის გავლენა

2020 წლის მარტში ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ ახალი კორონავირუსი („COVID-19“) პანდემიად გამოაცხადა. ჯერჯერობით გაურკვეველია, რამდენად შეაფერხებს ეს პანდემია მსოფლიო ეკონომიკის განვითარებას და რა გავლენას იქონიებს საქართველოს ეკონომიკაზე. COVID-19-ით ინფიცირების პირველი შემთხვევა დაავადებათა კონტროლის ეროვნულმა ცენტრმა (NCDC) 2020 წლის თებერვალში დაადასტურა. COVID-19-ის გავრცელების შესაჩერებლად საქართველოს მთავრობამ მთელი რიგი ზომები მიიღო, რამაც სოციალურ-ეკონომიკურ გარემოზე მნიშვნელოვანი გავლენა იქონია. ჯგუფი აკვირდება, რამდენად აისახება COVID-19-ის გავრცელება თავის საქმიანობაზე, მომხმარებლებზე და თანამშრომლებზე და ასრულებს საქართველოს მთავრობის მიერ გაცემულ ოფიციალურ რეკომენდაციებს, რათა უზრუნველყოს თავისი თანამშრომლების უსაფრთხოება და თავისი საქმიანობის უწყვეტობა.

COVID-19-ის გამო ქვეყანაში არსებულ საგანგებო მდგომარეობას უარყოფითი გავლენა ჰქონდა საქართველოს ეკონომიკაზე, მაგრამ აღსანიშნავია რომ სამშენებლო ბაზარი ფაქტობრივად არ დაზარალებულა.

COVID-19-ის პანდემიის გამო, ეკონომიკის გაურკვეველი მომავლის და ბაზრის მერყეობის გათვალისწინებით, ჯგუფმა შეაფასა თავისი უნარი, გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ.

2020 წლის 21 მარტს საქართველოს პრეზიდენტმა გამოსცა #1 დეკრეტი, რომლიც შემდეგ დაამტკიცა საქართველოს პარლამენტმა და რომლითაც გამოცხადდა საგანგებო მდგომარეობა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე 2020 წლის 21 აპრილამდე. 2020 წლის 23 მარტს საქართველოს მთავრობამ გამოსცა დადგენილება #181 „საქართველოში ახალი კორონავირუსის გავრცელების აღკვეთის მიზნით გასატარებელი ღონისძიებების დამტკიცების შესახებ“ („დადგენილება COVID-19-ის შესახებ“). აღნიშნული დადგენილება რამდენჯერმე შეიცვალა არსებული ვითარების სწრაფი ცვლილების და გამოწვევებზე რეაგირების მიზნით.

ჯგუფი იცავს ჯანდაცვისა და მთავრობის მიერ გაცემულ ყველა რეკომენდაციას. ასევე, ამ რეკომენდაციებზე დაყრდნობით გაიწერა შიდა ბრძანებები და პროცედურები, რომელთა დაცვითაც მიმდინარეობს სამუშაო პროცესი. ამჟამად, ჯგუფი ცდილობს შეინარჩუნოს ყველა თანამშრომელი, რადგან მათი გამოცდილება ღირებულია კომპანიისთვის.

სამომავლოდ, კომპანია გადადგავს შემდგომ ნაბიჯებს, ჯანდაცვის სამინისტროსა და მთავრობის მიერ გაცემული რეკომენდაციების მიხედვით.

8. რუსეთ-უკრაინის ომის ზეგავლენა ქვეყნის ეკონომიკაზე და კომპანიის სექტორზე

მიუხედავად იმისა, რომ შემოსავლები საქართველოს ეკონომიკაში საკმაოდ დივერსიფიცირებულია, ქვეყანა მაინც მოწყვლადია სამეზობლოში გეოპოლიტიკურ და ეკონომიკურ განვითარებებთან მიმართებაში. უფრო კონკრეტულად, რუსეთისა და უკრაინის ომი და დამატებით რუსეთისთვის მკაცრი სანქციების დაწესებას შესამჩნევი უარყოფითი ზეგავლენა აქვს საქართველოს ეკონომიკაზე.

2021 წლის მდგომარეობით, უკრაინისა და რუსეთის წილი საქართველოს ექსპორტში, ტურიზმში, ფულადი გზავნილების ნაკადსა და პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებში ჯამურად შეადგენს 21%-ს. უკრაინისა და რუსეთის წილი ექსპორტში შეადგენს 7%-სა და 14%-ს, ფულადი გზავნილების ნაკადის 4%-სა და 18%-ს, ტურიზმით მიღებულ შემოსავლის 15%-სა და 12%-ს შესაბამისად. უკრაინიდან და რუსეთიდან პირდაპირი უცხოური ინვესტიციები შეადგენს 1%-სა და 6%-ს შესაბამისად, რაც ძირითადად შედგება წინა პერიოდის ინვესტირების მოგების რეინვესტირებისგან. მნიშვნელოვანია, რომ უკრაინაში და რუსეთში საქართველოს ექსპორტის ნახევარზე მეტს რე-ექსპორტი შეადგენს, მაშინ როდესაც, ტურიზმისა და ფულადი გზავნილების ნაკადების 50% იმპორტულ საქონელზე იხარჯება. ეს ფაქტორები ამცირებენ შემაჯამებელ წმინდა ნეგატიურ ზეგავლენას დაკარგულ ფულად შემოსავლებზე.

გაურკვეველობა კვლავ მაღალია თუმცა მყარი მაკროეკონომიკური პარამეტრების (ტურიზმის აღდგენა, მიგრაციის ეფექტი, პოზიტიური ზრდა გზავნილებში) კოვიდ რეგულაციების შემსუბუქების კვალობაზე 2022 წელს საქართველოს ეკონომიკის საბაზისო სცენარში თიბისი კაპიტალის

გათვლებით 5.5%–ით გაიზრდება ხოლო გალტ & ტაგარტის მონაცემებით 4–4.5%–ით. ეროვნული ბანკის პროგნოზით 2022 წელს ეკონომიკური ზრდა 5.5%-ის ფარგლებშია მოსალოდნელი ომის დაწყების შემდეგ გაზრდილია ფასები ისეთი პროდუქტებზე რომლის მოწოდებაც უკრაინ - უსეთიდან ხდებოდა.

რუსეთის, უკრაინის და ბელორუსიის მოქალაქეების მიგრაციამ საქართველოში დადებითად იმოქმედა უძრავი ქონების ფასებზე, რამაც მოახდინა მშენებლობის სტიმულირება და შესაბამისად აისახა ჯგუფის რეალიზაციაში. ჯგუფის მენეჯმენტი მიიჩნევს რომ აღნიშნული ზრდის ტენდენცია მომავალ პერიოდშიც შენარჩუნდება.

დავით ხოსიაშვილი

გენერალური დირექტორი

2022 წლის 16 დეკემბერი

გათვლებით 5.5%-ით გაიზრდება ხოლო გალტ & ტაგარტის მონაცემებით 4–4.5%-ით. ეროვნული ბანკის პროგნოზით 2022 წელს ეკონომიკური ზრდა 5.5%-ის ფარგლებშია მოსალოდნელი ომის დაწყების შემდეგ გაზრდილია ფასები ისეთი პროდუქტებზე რომლის მოწოდებაც უკრაინ - უსეთიდან ხდებოდა.

რუსეთის, უკრაინის და ბელორუსიის მოქალაქეების მიგრაციამ საქართველოში დადებითად იმოქმედა უძრავი ქონების ფასებზე, რამაც მოახდინა მშენებლობის სტიმულირება და შესაბამისად აისახა ჯგუფის რეალიზაციაში. ჯგუფის მენეჯმენტი მიიჩნევს რომ აღნიშნული ზრდის ტენდენცია მომავალ პერიოდშიც შენარჩუნდება.

დავით ხოსიაშვილი

გენერალური დირექტორი

2022 წლის 16 დეკემბერი

